ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „განდი“
8 ლარი -
21 მარტიდან 4 აპრილამდე
4 აპრილის შემდეგ „განდის“ ფასი 12 ლარი გახდება




ოთხშაბათი, 30 მარტი, 2011 | №75 (5456) | ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილს ციხეში გავუშვებ!

გვ.2

კახა კუკავა ნაციონალებს უკანასკნელად აფრთხილებს



## რატომ უზრდიან გიგა ბოკერიას უფლებებს



გვ.2



გვ.3

## რატომ უნდა ხელისუფლებას რვიანთან მოლაპარაკებების ჩაშლა

## სააკაშვილს ოპოზიცია მონოპოლიზირებული ჰყავს



გვ.5

## ბაკურ კვეზერელი გადასაყენებელია!



გვ.5

## ბადრი ბიწაძე ლევან გაჩეჩილაძეს დუელში იწვევს



გვ.3

## ამუშავებენ თუ არა ბავშვებს მონებად ხევსურეთში

გვ.6

## საქართველოს მთავრობა არ ჰყავს

გვ.4



სახეზეა მონური შრომის კოდექსი, რომელიც ამ მახინჯი სისტემის ნაწილია



## ქართველ გლეხზე ზენოლა ხორციელდება

გვ.4

არ მიიღოთ ჰიბრიდული სიმინდის თესლი

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

4 მსახიობმა საგრიმიოროში თავი ჩამოიხრჩო

6 სამართლიანი საქართველო „კავკასიას“ უპირისპირდება

3 9 წლის ბავშვი მოკლეს

6 საქართველოს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

# სააკაშვილს ციხეში გავუშვებ!

## კახა კუკავა ნაციონალებს უკანასკნელად აფრთხილებს

ქეთი ხომერიკი

**„თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო მათ: „მიშისტებო“, სააკაშვილის მინისტრებო, პოლიციელებო და პროკურორებო, მერე რომ დაგეწყებათ ხმის კანკალი, ვაიმე, მე რა შუაში ვიყავი, მე ნუ მერჩითო და ა.შ. ეს არ გიშველით, ყველას ცხვირპირს გადაგისწორებთ, აბსოლუტურად ყველას, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში კახა კუკავამ. „ახალი თაობა“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა.**



***— წინა კვირას პარლამენტში მინისტრთა მოსმენები გაიმართა, თუმცა ახალი არც არაფერი მოგვისმენია და, ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად, არც ერთი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც არ დამდგარა. თქვენ როგორ შეაფასებდით „მინისტრთა კვირეულს“, ბატონო კახა?***

— მოდით, დავიწყოთ იმით, რომ ესენი არა მინისტრები, არამედ ბანდიტები არიან. ეს არის არა მთავრობა, არამედ მაფია. აქედან გამომდინარე, მაფიასთან საუბარი დაახლოებით იგივეა, ალ კაპონესთან რომ მისულიყო ვილაც და ეთქვა, იცით, რა, ბატონო ალ კაპონე, თქვენ აშშ-ის კონსტიტუციის მე-11 და 31-ე მუხლები დაარღვიეთ და უნდა დაგსაჯოთო. ჩვენ ამ ხალხს სანამ არ დავაპატიმრებთ, მანამდე მათი მოსმენა, რა თქმა უნდა, პიარის გარდა, არაფრისმომცემი იქნება.

***— თქვენი აზრით, გილაურის შემაჯამებელი გამოსვლაც მხოლოდ მორიგი პიარი იქნება და საზოგადოება ახალსა და საინტერესოს ვერც ვერაფერს მოისმენს?***

— რა თქმა უნდა, ესეც, მხოლოდდამხოლოდ, მორიგი პიარი იქნება. გილაური ამ მაფიის კონსოლიერია, რომელიც მაფიის საქმეთა წარმოებას ხელმძღვანელობს და მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ ციხეშია.

***— „ოპოზიციური რვიანი“ თვლის, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, სხვა ოპოზიციური ძალები კი ხელისუფლების რევოლუციით შეცვლის მომხრენი არიან. თქვენ რომელ გზას ირჩევთ და როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?***

— რაც შეეხება „ოპოზიციურ რვიანს“, მგონი, ჩემზე ძალიან გაბრაზდნენ, როდესაც ვთქვი, რომ მოლაპარაკებები საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად მოკვდა და შეგიძლიათ დაახუროთ კუბოს თავსახური-მეთქი, თუმცა, დღეს, მგონი, მათაც დაინახეს, რომ მაშინ მე ნამდვილად არ ვცდებოდი. დღესავით ნათელია, რომ სააკაშვილის რეჟიმი სამართლიან არჩევნებს არასდროს ჩაატარებს და ამიტომაც დავტოვე მოლაპარაკების მაგიდა. რაც შეეხება ჩვენს სამოქმედო გეგმას, გეტყვით, რომ ჩვენი სამოქმედო გეგმა სააკაშვილის დაპატიმრება და გასამართლებაა.

***— როგორ და რა გზით აპირებთ ამის მიღწევას, რევოლუციით?***

— ჩვენ ამის მიღწევას მასობრივი საპროტესტო აქციების გზით ვაპირებთ და მივაღწევთ კიდეც, მათ შორის რევოლუციითაც.

***— წინასწარ რევოლუციის დაანონსება რამდენად სწორია?***

— ჩვენ არაფერს ვაანონსებთ, უბრალოდ, ვამბობთ, რომ პროცესების რევოლუციური გზით განვითარებას ვუჭერთ მხარს, რადგან არსებული რეჟიმი არჩევნების გზით არ წავა. ისე, ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომელიც ყველა საკითხში არასწორ არჩევანს აკეთებს, ჩვენ ჭკუას ნუ გვასწავლის. ვიმეორებ, სხვა გზით კრიმინალური რეჟიმის შეცვლა შეუძლებელია.

***— თუმცა, რამდენიმე თვის წინ თქვენც იჯექით მოლაპარაკების მაგიდასთან და ფიქრობდით, რომ ხელისუფლებასთან დიალოგით სასურველ შედეგს მიაღწევდით...***

— სულაც არ ვფიქრობდი, რომ ამ რეჟიმთან მოლაპარაკების გზით სასურველ შედეგს მივაღწევდით. მაშინ ეს უცხოელებს, ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ეგონათ, ჩვენ კი მათ ვუთხარით, რომ ესენი ბანდიტები არიან და არანაირ კოდექს არ შეცვლიან. მათ კი გვითხრეს, კიდევ ერთხელ სცადეთო და მათთვის რომ დაგვენახვებინა, რომ ესენი ნამდვილად ბანდიტები არიან და მათთან არანაირი შედეგის მიღწევა არ შეიძლება, ამიტომ დავიწყეთ ეს პროცესი და შედეგი გამოჩნდა კიდეც. დღეს უკვე იმ „ოპოზიციურ რვიანში“ შემავალმა პარტიებმაც დაინახეს, რომ ამ ბანდიტებთან საუბარს არანაირი აზრი არა აქვს. მართალია, ცოტა კი გაბრაზდნენ ჩემზე, რომ ვთქვი, დაახურეთ კუბოს თავსახური-მეთქი, თუმცა, არა უშავს.

***— მგონი, მართლაც მართლდება თქვენი პროგნოზი... თუმცა, მოლაპარაკებები რომ ჩიხშია, „რვიანი“ ამას საბოლოოდ მაინც არ აღიარებს. იგივე თარგამაძე საკმაოდ თავდაჯერებულია და თვლის, რომ მოლაპარაკებები განახლდება და შედეგიც დაიდება...***

— დიახ, მგონი, დღეს ჩემი ნათქვამი ნამდვილად გამართლდა. თავდაჯერებულები სულაც არ არიან. „ოპოზიციურმა რვიანმა“ ხომ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები შეაჩერეს. ეს არის ძალიან სერიოზული დემარში და, მოლაპარაკებები რომ წარმატებული ყოფილიყო, არ შეაჩერებდნენ, ხომ? განაახლებენ თუ არა მოლაპარაკებებს, არ ვიცი, მაგრამ, შეჩერებული მოლაპარაკებები წარმატებულად რომ ვერ ჩაითვლება, ცხადია.

***— ხომ არ ვიხილავთ „ოპოზიციურ რვიანს“ თქვენ გვერდით საპროტესტო აქციებზე?***

— ამას მხოლოდდამხოლოდ მივესალმებით. გუშინ ბატონი დავით გამყრელიძე შემხვდა, რომელიც ძალიან კარგი ადამიანია და ძალიან მესიმპათიურება. ჩვენ მივესალმებით მას და აუცილებლად მოვიწვევთ მიტინგის ტრიბუნაზე.

***— „სახალხო კრება“ ბრწყინვალე შვიდეულის დასრულებისთანავე კონკრეტულ მოქმედებებზე გადასვლას აპირებს. რამდენად სერიოზულად უყურებთ მათ მიერ დაანონსებულ ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპს და გიხილავთ თუ არა ამ ბრძოლაში მათ გვერდით?***

— „სახალხო კრებასთან“ ჩვენ მათივე სურვილიდან გამომდინარე არ ვთანამშრომლობთ. მათ, ასე ვთქვათ, რალაც თავიანთი გეგმები და გათვლები აქვთ.

***— მათივე სურვილით? ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ მათი კარი ყველასთვის ღიაა და დღესაც მოუწოდებს ყველა ოპოზიციურ ძალას, შემოუერთდით კრებასო...***

— ვიმეორებ, ჩვენ კრებასთან არ ვთანამშრომლობთ მათივე სურვილით. ნინო ბურჯანაძის პარტიაში ნამდვილად ვერ გავწევრიანდებით.

***— რა შუაშია ნინო ბურჯანაძე? რამდენადაც ცნობილია, „სახალხო კრებას“ სათავეში ნონა გაფრინდაშვილი უდგას...***

— კარგით, რა. არ გვინდა ამ ზღაპრების სმენა. ჩვენ ვიყავით „სახალხო კრებაში“ გაერთიანებული და მათ ჩვენთან საერთო ენა ვერ მონახეს. კრება ამიტომაც დავტოვეთ და ახლა ისევ ხომ არ შევცვივდებით კრებაში? „სახალხო კრებამ“ აკეთოს თავისი საქმე. მე მათ არც გავაკრიტიკებ და არც მხარს დავუჭერ. ჩვენ მათთან არ ვთანამშრომლობთ და არც ვითანამშრომლებთ.

***— საპროტესტო აქციებს თუ დაიწყებენ და ხალხი თუ გაჰყვება მათ, მაშინაც არ დადგებით კრების გვერდით? რატომ?***

— ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ. ჩვენ „სახალხო კრების“ აქტივობა არ გვაინტერესებს. არ შეიძლება, რომ ასეთი პოზიცია გვქონდეს? არ გვაინტერესებს და მორჩა. ამ დისკუსიაში არ შევდივართ. „სახალხო კრების“ გვერდით არ დავდგებით.

***— აბა, ვის გვერდით დადგებით, მარტო როგორ მოახერხებთ ხელისუფლების შეცვლას? ეს ხომ გაერთიანებულმა ოპოზიციამაც ვერ შეძლო... აწარმოებთ თუ არა რომელიმე ოპოზიციურ ძალასთან მოლაპარაკებებს?***

— ჩვენ ხალხის გვერდით დავდგებით. რაც შეეხება კონსულტაციებს, დიახაც, ვაწარმოებთ. „თავისუფალი საქართველო“ კონსულტაციებს „ქართულ პარტიასთან“ აწარმოებს.

***— ანუ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას „ქართულ პარტიასთან“ ერთად აპირებთ? რა განსხვავებაა „სახალხო კრებასა“ და „ქართულ პარტიას“ შორის? ორივე ძალა ხომ მშვიდობიან რევოლუციაზე საუბრობს...***

— რა განსხვავებაა „ქართულ პარტიასა“ და „სახალხო კრებას“ შორის? რა და 2007 წლის 7 ნოემბერი. „ქართული პარტია“ ჩვენი ძველი თანამებრძოლია, რომელთან ერთადაც ბევრი ბრძოლა გამოვიარეთ. ჩვენ გვაერთიანებს საერთო ფასეულობები და არა მარტო სურვილი სააკაშვილის გადადგომისა. რა განსხვავებაა კრებასა და „ქართულ პარტიას“ შორის, მგონი, დღესავით ნათელია. დიახ, სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას „ქართულ პარტიასთან“ ერთად ვაპირებთ. ოღონდ, ეს ისე არ გაიგოთ, რომ „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული პარტია“ ვერთიანდებით. არა, ის ცალკე პარტიაა, ჩვენ ცალკე პარტია ვართ. უბრალოდ, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ერთად ვაპირებთ.

***— „წინააღმდეგობის მოძრაობის“ მიერ გამართული აქცია ძალოვნებმა დაარბიეს. ხომ არ იყო ეს ხელისუფლების მხრიდან ხალხის დაშინების მცდელობა და იმის ჩვენება, რომ აქციებზე თუ გამოხვალთ, დაგარბევთო? ხელისუფლება აქციებს კვლავ დაარბევს?***

— დიახ, ზუსტადაც რომ ამის მცდელობა იყო. ვფიქრობ, ხელისუფლება მიაღწევს იმას, რომ ხალხი იძულებული გახდება, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს, რაც იქნება ძალიან მძიმე. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო მათ: „მიშისტებო“, სააკაშვილის მინისტრებო, პოლიციელებო და პროკურორებო, მერე რომ დაგეწყებათ ხმის კანკალი, ვაიმე, მე რა შუაში ვიყავი, მე ნუ მერჩითო და ა.შ. ეს არ გიშველით, ყველას ცხვირპირს გადაგისწორებთ. აი, ეს შემიძლია ვუთხრა მათ.

***— ცოტა ხმამაღალი განაცხადი ხომ არ არის თქვენი მხრიდან, ეს რას ნიშნავს?***

— ვიმეორებ, ცხვირპირს გავუსწორებთ ყველას, ვინც ამ ძალადობრივ დარბევებში მონაწილეობს.

***— ძალადობა ძალადობას შობსო... შიშველი ხელებით იბრძოლებთ მათ წინააღმდეგ? დაგვიკონკრეტეთ!***

— ჩვენ მათ ძალას დავუპირისპირებთ. დეტალების დაკონკრეტება აუცილებელი არ არის. ჩვენ გვაქვს ძალები და ამ ძალების შესახებ დეტალური ინფორმაციების მიწოდება პრესის ფურცლებით საჭირო ნამდვილად არ არის. ამის ძალები არსებობს და, ვიმეორებ, ცხვირპირს გავუსწორებთ ყველას. თუ დაარბევენ აქციას და პროცესების მშვიდობიანად წარმარ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# რატომ უზრდიან გიგა ბოკერიას უფლებებს

ნანა მიშელაშვილი

**იზრდება თუ არა უშიშროების საბჭოს მდივნის ფუნქციები? პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, ხელისუფლება უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას ქვეყნის მმართველობის ყველა სადავეს უკანონებს. ეს კომენტარი გიორგი ცაგარეიშვილმა „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ კანონში“ ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით გააკეთა. პროექტი პარლამენტში ამ დღეებში შევიდა.**

გიორგი ცაგარეიშვილის აზრით, გიგა ბოკერიას და უშიშროების საბჭოს ადგილსა და როლს ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მის ხელში მოიყრის თავს ქვეყნის მმართველობის ყველა სადავე.

გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, აქამდე ეროვნული უშიშროების საბჭო განსაზღვრავდა სამხედრო აღმშენებლობის და ქვეყნის დაცვის ორგანიზაციის, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებს. საკანონმდებლო ცვლილებებით კი, უშიშროების საბჭო განსაზღვრავს ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში და ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით, უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, უშიშროების საბჭო უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის სიტუაციების მართვას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.

— ეს არის უდიდესი უფლებამოსილება, რაც კი შეიძლება კანონისმიერად დაუდგინდეს ეროვნული უშიშროების საბჭოს. ამიერიდან, ეროვნული უშიშროების საბჭო სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოთა იერარქიაში შეიძენს განსაკუთრებულ როლს, ხოლო მის მდივანს ფაქტიურად ეძლევა უფლება, თავისი შეხედულებებით განსაზღვროს, რას წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში და ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაცია, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი ცაგარეიშვილი არ გამორიცხავს, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, პროექტის დამტკიცების შემდეგ გიგა ბოკერია საარჩევნო საკითხებზე მოლაპარაკებებშიც ჩაერთოს.

ამ ცვლილებების მიღების შემდეგ პარლამენტს კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით მოუწევს მსჯელობა. ეს სულ სხვა საკითხია და ამ კანონპროექტს არ უკავშირდება. კერძოდ, საუბარია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე, რომელზეც მომხსენებელი გიგა ბოკერია იქნება.



საკითხი შეეხება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტს, რომელიც საჯარო დოკუმენტია. კონცეფციის განხილვა საპარლამენტო კომიტეტებში ერთხელ უკვე მოხდა.

თავად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ქვეყნის გამოწვევების ჩამონათვალში პირველი ადგილი უკავია. კონცეფციაში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული.

კონცეფციის გადამუშავებული პროექტი პარლამენტში რამდენიმე ხანში შევა. ამის შემდეგ მასზე დეპუტატები კიდევ ერთხელ იმსჯელებენ. სავარაუდოდ, საგაზაფხულო სესიის დასასრულისთვის ქვეყანას ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია ექნება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## საააკაშვილს ციხეში გავუშვებ!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თვას არ მოინდომებენ, ამას მიიღებენ.

***— როდის აპირებთ კონკრეტულ მოქმედებებზე გადასვლას და არა მარტო განცხადებების კეთებას?***

— ჩვენ ახლაც ვმოქმედებთ. რატომ მხოლოდ განცხადებები? იყო აქციებიც, არის შეხვედრები, დაფუძნებები, ვიზიტები, კონსულტაციები. რას ეძახით თქვენ მოქმედებას? ანუ ქუჩის აქციების დაწყებას როდის ვაპირებთ? როცა დრო მოიტანს. ჩვენ არ ვაანონსებთ. ხომ გვეუბნებიან, რომ დააანონსება არ არის საჭირო. ჰოდა, ვუჯერებთ და არ ვაანონსებთ. ისე, მინდა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია დამშვიდდეს. მგონი, ხელისუფლებას არ ეშინია რევოლუციის ისე, როგორც მათ და ცოტა დაწყნარდნენ, არ შეიძლება ამდენი ნერვიულობა, ნერვიულობა ხომ მავნებელია ჯანმრთელობისთვის.

***— რომელ პარტიებს გულისხმობთ?***

— იმათ, რომლებიც ამ დაანონსებული რევოლუციების გამო ლამისაა დარდით დაიხოცონ. ერთი თვეა უკვე, რაც სააკაშვილის შეცვლაზე კი არა, არამედ იმაზე ფიქრობენ, რა გავაკეთოთ, რევოლუცია როგორ ავიცილოთ თავიდანო. ეს მთავრობისა და პოლიციის საზრუნავია, ეგენი კი წავიდნენ და თავიანთ საქმეს მიხედონ. რას გადაირივნენ ამ რევოლუციაზე დარდით, ვერ გავიგე!

***— ვრცელდება ხმები, რომ „ნაციონალებში“ განხეთქილებაა. იმასაც ამბობენ, რომ ისინი უკვე თვითგადარჩენასა და გაქცევაზე ფიქრობენ, ასევე, ხელისუფლების მათივე გუნდიდან ჩანაცვლების გეგმასაც ამუშავებენ. ფლობთ თუ არა რაიმე ინფორმაციას ამ ყველაფრის შესახებ?***

— ჩემი აზრით, ნაციონალებში წვრილმანი დაპირისპირებაა, შიდამაფიოზური დაპირისპირებები რომ არის კლანებს შორის ხოლმე, აი ასეთი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონცეპტუალური დაპირისპირებაა და პოლიტიკურ საკითხებზე ვერ თანხმდებიან. რაც შეეხება თვითგადარჩენასა და გაქცევას, რა თქმა უნდა, ამისთვის ემზადებიან. მაშინ, როდესაც სააკაშვილის საქმე ცუდად იქნება, ყველანი წითელ ხიდზე დადგებიან. ალბათ, გახსოვთ, რამდენი „ნაციონალი“ დაიჭირეს წითელ ხიდზე და სარფის საბაჟოზე აგვისტოს ომის დროს, როცა გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილი თბილისიდან მირბოდა. გაიხსენეთ, სააკაშვილი ხმის კანკალით რომ იჯდა პირდაპირ ეთერში და ეხვეწებოდა მთელ საქართველოს, არიქა, არ გაიქცეთო. ეს იყო რეალობა და ყველას კარგად გვახსოვს. რაც შეეხება გეგმებს, რა თქმა უნდა, მათ თავში მილიონი რამ მუშავდება, მაგრამ ჩვენ ამას სერიოზულად არ აღვიქვამთ. ჩვენ მათი აზრები და სურვილები არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ სააკაშვილი ჩაჯდეს ციხეში.

## 9 წლის ბავშვი მოკლეს

ეკატერინე ოჩხიკიძე და მისი დედა საშინელ მკვლელობაში არიან ბრალდებულნი. დანაშაული თურქეთში მოხდა. იქაური პრესა ამ შემზარავ ფაქტს აშუქებს. მთელი თურქეთი შეძრულია. დედინაცვალმა 9 წლის ბიჭი მოკლა. ის დანაშაულს დედამისს აბრალებს. 27 წლის ეკატერინე ამბობს, რომ ბავშვი ხშირად აბრაზებდა და არ უჯერებდა. მიმდინარეობს გამოძიება.

**ატბ-ნიუსი**

# რატომ უნდა ხელისუფლებას რვიანთან მოლაპარაკებების ჩაშლა

## ოპოზიციონერებმა ერთმანეთს მუშტი-კრივი არ უნდა გაუმართონ!

**ნათია ხურცილავა**

ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავა პოლიტიკურ კრიზისზე აკეთებს განცხადებას. პრაიმ ტაიმის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე შარტავამ განაცხადა, რომ თუ ხელისუფლებას სურს საარჩევნო გარემოს რეალური ცვლილება, მაშინ ამისთვის მოლაპარაკების მაგიდა არსებობს და იქ დაბრუნება შესაძლებელია.

ფორუმის ლიდერი აცხადებს, რომ ხელისუფლებას არ აწყობს ამომრჩევლის რეალური რიცხვის დადგენა, რადგან ამ შემთხვევაში ყველა ჩატარებული არჩევნების შედეგები საფრთხის ქვეშ დადგება, რაც თავისთავად ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხს ეჭვქვეშ დააყენებს.

შარტავა აცხადებს, რომ ხელისუფლება ცდილობს, მოლაპარაკებები ჩაშალოს და დრო გაიყვანოს.

— რვიანს შიდა ფორმატში პრობლემები არ აქვს. ხელისუფლებას ძირეულ ცვლილებებზე უარის თქმა პირდაპირ და ღიად უჭირს, მაგრამ ასევე თანხმობაც უჭირს, რაც პრობლემებს ქმნის. ამომრჩეველთა რაოდენობის რეალურად დათვლა ქვეყანაში საფრთხის ქვეშ აყენებს ყველა იმ არჩევნების შედეგებს, რომლებიც ამ ხელისუფლებას ჩაუტარებია. ფაქტიურად, საფრთხეს უქმნის მათ ლეგიტიმაციას, შესაბამისად, ამით მოხდება ამ რეჟიმის პოლიტიკური და სამართლებრივი განიარაღება. ყველანაირად ცდილობს ხელისუფლება, დრო გაჭიმოს, მოლაპარაკებები ჩაშალოს და ეს რვიანს დააბრალოს, — აცხადებს შარტავა.

ფორუმის ლიდერი ხელისუფლებას პასუხობს, რომ ხელისუფლების ამ პოზიციაზე პასუხი მარტივია, რომ თუ შედეგი უნდათ, მაგიდა არსებობს და მოლაპარაკებების განახლებაც შესაძლებელია.

— მოლაპარაკების მაგიდა არსებობს, საკითხებიც დაყენებულია და ხელისუფლების წარმომადგენლებს თუ აქვთ სურვილი, სერიოზული საუბარი გააგრძელონ, როგორც შეთანხმებული იყო, ეს მაგიდა ამოქმედდება, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურად ჩართვა, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ წინა თვეებში. საზოგადოების დიდი ნაწილი ინტერესდება ამ საკითხით. ამ ინტერესს ორგანიზება სჭირდება. საზოგადოებამ თავისი შეკითხვები ხელისუფლებისკენაც უნდა მიმართოს. დრო დადგა, საზოგადოებამ ჰკითხოს ხელისუფლებას, მზად არის თუ არა ის, განაგრძოს საუბარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებასაც და ოპოზიციასაც მოუწევს ფაქტის დაფიქსირება, რომ ხელისუფლება უარს ამბობს სამართლიან საარჩევნო გარემოზე, — განაცხადა ფორუმის ლიდერმა.

ხელისუფლების უარყოფითი პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში როგორ განვითარდება მოვლენები და როგორი იქნება რვიანის მოქმედების გეგმა, ამ კითხვაზე შარტავა ასე პასუხობს:

— რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური არგუმენტი უნდა დაგროვდეს, მათ შორის იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობასაც სრული საფუძველი ჰქონდეს, ამ პროცესის საკუთარი შეფასება გააკეთოს. უარის დაფიქსირებისთვის თავად საზოგადოებაც და ოპოზიციაც მზად უნდა იყვნენ. შემდგომი ნაბიჯები ერთობლივად უნდა დაიგეგმოს და სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღებაში. ეს პროცესი ახლა მიმდინარეობს. შეხვედრები გაგრძელდება და მასშტაბური ხასიათის იქნება. ხელისუფლებას თავადაც მოუწევს ამ პროცესზე რეაგირება — მოლაპარაკების გაგრძელება, ან თავისი ქმედებით ღიად გამოააშკარავებს, რომ ის უარს ამბობს სამართლიან არჩევნებზე. თუ აქამდე პროცესისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება არსებობდა, რომელმაც პოლიტიკური კრიზისიდან უნდა გამოგვიყვანოს, ახლა ამ პროცესში საზოგადოების ყველა აქტიური ნაწილი უნდა ჩაერთოს, — განაცხადა შარტავამ.

ჩაერთვება თუ არა ქუჩის საპროტესტო აქციებში შარტავა და მისი პოლიტიკური ბლოკი?

— არ ვარ დარწმუნებული და არ ვიცი, მართლა იქნება თუ არა ქუჩის აქციები. რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან სუბიექტის მიერ რამე ღონისძიების დაგეგმვა და ჩატარება არ გულისხმობს ვალდებულებას სხვა პარტიებისთვის, რომ აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა. ყველაფერი შედეგზე გათვლილ პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული. როდესაც მონაწილეობა-არმონაწილეობაზე ვსაუბრობთ, ერთია, როდესაც ერთობლივად იგეგმება რაღაც აქცია და მეორეა პოზიცია, რომელსაც ჩვენ მივეჩვიეთ, ვინმე აცხადებს თავის იდეას ერთადერთ ჭეშმარიტებად და საყოველთაო მიმართვა ხდება, გინდა თუ არა, მონაწილეობა უნდა მიიღო. ვინც არ მიიღებს მონაწილეობას, ის გამყიდველი ან მოღალატეა, ან ხელისუფლებასთან არის შეკრული. ასეთი ტიპის ურთიერთდამოკიდებულება მიუღებელი და დაუშვებელია. ხანდახან იძულებული ხდები, რაღაცაში მონაწილეობა მიიღო, მაგრამ ამ შემთხვევაში შედეგზე პასუხისმგებელი უკვე აღარ ხარ. ამიტომ, ისეთ ღონისძიებებში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რომლის შედეგზეც პასუხისმგებლები ვიქნებით და ეს არ იქნება დამანგრეველი. პოლიტიკური კრიზისის დაძლევის ერთადერთი დემოკრატიული საშუალება ნორმალური და სამართლიანი არჩევნებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანები, რა თქმა უნდა, თვითგადარჩენის ინსტინქტს აამოქმედებენ. ეს რით გამოიხატება, ძნელი სათქმელია, — განაცხადა შარტავამ.



გუშინ კახა შარტავას ლევან გაჩეჩილაძისა და ბადრი ბიწაძის დაპირისპირებაზეც დაუსვეს კითხვა. რამდენად რეალურია ბიწაძის ბრალდება გაჩეჩილაძის მიმართ, რომ შეიძლება გაჩეჩილაძე ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდეს?

— ასეთი დაკვეთის შეგნებული შემსრულებელი პოლიტიკურ სუბიექტებში დღეს არ მეგულება. თუმცა, ხელისუფლებისთვის საჭირო საქციელი რომ ჩაიდინო, ამას არ სჭირდება ხელისუფლების დაკვეთა. ეს რეჟიმი კარგად იცნობს ყველა მოქმედ პოლიტიკურ სუბიექტს და შესაძლებელია მოდელირება მოახდინოს ისეთი სიტუაციისა, სადაც წინასწარ წარმოუდგენია, ვინ როგორ მოიქცევა. შეიძლება, ასე უნებლიეთ მოგიწიოს ხელისუფლებისთვის სასარგებლო საქმის გაკეთება. ამიტომაც არის საჭირო მეტი სიფრთხილე, მეტი გონიერება, როდესაც რაღაც ღონისძიებაზე ფიქრობ. ისე, პოლიტიკაში, ზოგადად, მუშტი-კრივის, ანგარიშსწორების ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგი ვარ. რომ არ ვიყო ამის წინააღმდეგი, მე თვითონაც გამოვიყენებდი. მეტნაკლებად მეც მეხერხება ეს საქმე, — აღნიშნავს ფორუმის ლიდერი.

შარტავა აცხადებს, რომ სიფრთხილეა საჭირო, რადგან, საზოგადოების იმედგაცრუების შემთხვევაში, ვერაფერს გააკეთებს პოლიტიკური ძალა.

— კიდევ ერთხელ იმედგაცრუებული ადამიანები ჯამში შეადგენს ქანცგაწყვეტილ საზოგადოებას, რომელთან ერთადაც მერე ვერაფერს გააკეთებ — აქციების, რევოლუციების თუ სხვა მასშტაბური ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ ბოლომდე მიყვანას, დღეს საქართველოში არ არსებობს ცალკე აღებული პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც შეუძლია ასეთი ტვირთი ზიდოს, რევოლუცია მოაწყოს ან ძალიან დიდი მასშტაბური აქციები დაიწყოს. ვერც ერთი ორგანიზაცია ამას ვერ შეძლებს, ვერც ეროვნული ფორუმი, როგორც ბლოკი, ვერც ქართული პარტია და ვერც სახალხო კრება. სწორი საბაბი იმისთვის, რომ ადამიანები გააქტიურდნენ და გარეთ გამოვიდნენ, შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ საბაბის საქმედ ქცევას სჭირდება სრულფასოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც შეუძლია, პასუხისმგებლობა აიღოს შედეგზე, ბოლომდე მიიყვანოს ეს საქმე პოლიტიკურად და საერთაშორისო მხარდაჭერაც უზრუნველყოს ამ პროცესისა, რათა საქართველო მარტო არ დარჩეს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. დღეისათვის ასეთი სუბიექტები არ არსებობენ. თუმცა, ასეთი სუბიექტის, კრებითი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჯგუფის ჩამოყალიბება შესაძლებელია. მაქსიმალურად შევუწყობთ ამ პროცესს ხელს, რადგან, თუ ასეთი ჯგუფები არ არსებობენ, მაშინ არა მხოლოდ რევოლუციებზე, არამედ არჩევნებზე საუბარსაც აზრი ეკარგება. არჩევნების მომგები სუბიექტები უნდა არსებობდნენ ქვეყანაში, — განაცხადა კახა შარტავამ.

# ბადრი ბიწაძე ლევან გაჩეჩილაძეს დუელში იწვევს

**თეა მარხვაიძე**

ლევან გაჩეჩილაძესა და ბადრი ბიწაძეს შორის სკანდალი ისევ გრძელდება. ამ დაპირისპირებით ხელისუფლება საკმაოდ ბედნიერი ჩანს. სხვა თუ არაფერი, მიუნხენში მომხდარმა ინციდენტმა ნაციონალებს მძიმე სოციალური თემებიდან ყურადღების გადატანის საშუალება მისცა. ერსაც ეს ამბავი უფრო აინტერესებს.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ახლა იმას კი არ ჩივის, რატომ არის ცხოვრება ასეთი რთული, არამედ, იმის გარკვევითაა დაინტერესებული, ვინ უფრო კარგად ჩხუბობს — ბიწაძე თუ გაჩეჩილაძე.

ქალაქში ამასობაში ხმა გავარდა, მიუნხენში მომხდარი ინციდენტის შემდეგ ბიწაძე კიდევ ბევრ სკანდალურ ინფორმაციებს გაავრცელებსო.

რა სკანდალური ცნობები შეიძლება გავრცელდეს გაჩეჩილაძეზე, რა მოხდა მიუნხენის აეროპორტში, რატომ ითხოვს ბიწაძე გაჩეჩილაძესთან საჯარო შეხვედრას, ამ თემებზე ბიწაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— მიუნხენის აეროპორტში როგორ შეხვდით ერთმანეთს თქვენ და გაჩეჩილაძე?***

— მიუნხენის აეროპორტში სრულიად შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. მოულოდ-



ნელად გამომეცხადა გაჩეჩილაძე.

***— ჩხუბი მაშინვე დაიწყეთ? როგორ განვითარდა მოვლენები?***

— ჩხუბი იმას არ ერქვა. გაჩეჩილაძე მოვიდა და შეურაცხყოფა მომაყენა... სიტყვიერი. მერე ადგა და წავიდა. მივიდა თავისიანებთან.

***— ვინ თავისიანებთან?***

— თავის სამ თანმხლებთან მივიდა. ესენი იყვნენ კოკა გუნცაძე, სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი.

***— თქვენ მარტო იყავით?***

— მარტო ვიყავი.

***— გამოდის, რომ ოთხნი ერთის წინააღმდეგ იყვნენ.***

— მერე, რა პრობლემაა?

***— იმ სკანდალური ინტერვიუს შემდეგ თქვენ თბილისში არ შეხვედრიხართ ერთმანეთს?***

— არა, არ შევხვედრივართ. თუ საქმის გარჩევა უნდოდა, არ შეეძლო, თბილისში შემხვედროდა? რა პრობლემა იყო ჩემი ნახვა. ის, რაც მიუნხენში მოხდა, იყო სუფთა პროვოკაცია. მას უნდა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამომიყვანოს წყობიდან. ასეთი დავალება აქვს მიღებული.

***— მიუნხენში ამ ჩხუბის გამო ხომ შეიძლებოდა, ორივენი დაეკავებინეთ?***

— შეიძლებოდა. იმას ადვოკატები ჰყავდა. ისინი იტყოდნენ, რომ ჩემი ბრალი იყო.

***— თქვენ თქვით, რომ გაჩეჩილაძეს დავალება აქვს მიღებული. ვისგან აქვს ეს დავალება მიღებული?***

— ვისგან და ხელისუფლებისგან. სხვა რაღაცებს ვეღარ უსრულებს. ახლა, როგორც ჩანს, აიღო ახალი ვალდებულება, რომ ჩემი თავი დააჭერინოს ვანო მერაბიშვილს. მიუნხენში დაგვაკავებდნენ. მერე ესენიც ჩაერთვებოდნენ. ეს ჩხუბი შეიძლებოდა თბილისში გაგრძელებულიყო. პროვოკატორები რას არ მოიფიქრებენ.

***— თბილისში ერთი რეისით დაბრუნდით. იქ არაფერი ყოფილა?***

— არაფერი. გუგული ჩიტებივით ისხდნენ.

***— თქვენ ამბობთ, პროვოკაციის მოწყობა აქვს დავალებულიო. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ შორის კიდევ რაიმე ინციდენტი მოხდება?***

— მე ასეთ იაფფასიან პროვოკაციებზე არ წამოვეგები. გაჩეჩილაძეს თუ უნდა ჩემთან რამის გარკვევა, მზად ვარ, ნებისმიერ ადგილას შევხვდე და გავარკვიო. აეროპორტში ამის გაკეთება არ შეიძლება. მიუნხენში ერთი მიზანი ჰქონდა — წყობილებიდან გამოვეყვანე. ჟურნალისტები ამ თემით ძალიან არიან დაინტერესებული. რადგან ასე გაინტერესებთ, მოაწყვეთ არენა და იქ გამოვალ.

***— არენაზე გამოსვლას რომ აპირებთ, რომელიმე საბრძოლო ხელოვნებას თუ ფლობთ?***

— ეგ არენაზე გამოჩნდება. ისე, არავის ვურჩევ ჩემთან ჩხუბს. ეს ძნელი საქმეა.

***— გამოითქვა ეჭვები, რომ ამ ინციდენტის შემდეგ თქვენ შეიძლება რაიმე სკანდალური ინფორმაცია გაავრცელოთ.***

— რა ინფორმაცია უნდა გავავრცელო. რაც გასავრცელებელი იყო, უკვე გავავრცელე.

***— თქვენ კიდევ ბევრი რამე გეცოდინებათ...***

— რა თქმა უნდა, ვიცი. არავისზე არ ვაპირებ ინფორმაციების გავრცელებას.

***— ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე თქვენი მეუღლე პარიზში იმყოფებოდა. არსებობს ინფორმაცია, რომ თითქოს ის ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდა.***

— არავითარი შეხვედრა არ ყოფილა.

***— ქართულ პარტიასთან შერიგებას არ აპირებთ?***

— შერიგება რა შუაშია. შესარიგებელი არაფერი გვაქვს.

***— ხელისუფლების შეცვლას ხომ ორივე რევოლუციებით აპირებთ?***

— ჩვენ ამის გაკეთებას ვაპირებთ ხალხთან ერთად.

***— ქართული პარტიის წევრები თქვენ მიერ ორგანიზებულ აქციაზე რომ მოვიდნენ?..***

— მოვიდნენ მერე. კი არავის ვუშლით ჩვენთან მოსვლას. ვისაც უნდა ხელისუფლებასთან ბრძოლა, მოვიდეს და იბრძოლოს, ოღონდ, ნამდვილად უნდა იბრძოლოს. ისე აღარ უნდა მოხდეს, ხალხი გამოიყვანონ და მერე ივაჭრონ. თუ ბრძოლაა, ბრძოლა უნდა იყოს და არა ვაჭრობა და გარიგება.

# საქართველოს მთავრობა არ ჰყავს

შორენა კოწოწაშვილი

**რომელი მინისტრების პასუხისმგებლობა უნდა დაეყენებინა საპარლამენტო ოპოზიციის პარალელურად ნაციონალურ უმრავლესობას, რატომ მოქმედებს ქვეყანაში მონური შრომის კოდექსი და, საერთოდ, ჰყავს თუ არა საქართველოს მთავრობა? — პარლამენტში მთავრობის წევრთა გამოსვლების შესახებ გთავაზობთ ინტერვიუს ეროვნული საბჭოს წევრ ლაშა ჩხარტიშვილთან.**

***— ბატონო ლაშა, რამდენად რთული პერიოდი უდგას სააკაშვილს და მის მთავრობას დღეისათვის, როცა დასავლეთიდანაც დაიწყო კრიტიკული განცხადებების გაკეთება?***

— სიტუაცია, პირდაპირ გეტყვით, კატასტროფულია. სააკაშვილის ხელისუფლება გადასულია მასობრივ იერიშზე საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ. ის არად დაგიდევთ ადამიანის არც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, არც ეკონომიკურსა და სოციალურს, არც ეკოლოგიურს. ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით ახორციელებს მასობრივ შეტევას საზოგადოების წინააღმდეგ, რისი მიზანიც არის ტერორისა და გალატაკების გზით საზოგადოების დამორჩილება და ამ მეთოდის გამოყენებით საკუთარი უკანონო შემოსავლის კიდევ უფრო გაზრდა. შესაბამისად, სახეზეა მასობრივი, დაუნდობელი და დაუფარავი მონოპოლიზაცია ოლიგარქების მიერ, რომლებადაც იქცნენ საბოლოო ჯამში მიხეილ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლები, რომლებიც, პირდაპირ რომ ვთქვათ, იღებენ და ანადგურებენ სხვის ბიზნესს. საუბარი მაქვს, პირველ რიგში, მსხვილ ბიზნესზე, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში მთავარი დამსაქმებელია. ამ ადგილსაც კი თვითონ იკავებენ საკუთარი ოლიგარქიული, მსხვილი კომპანიების მეშვეობით, რომლებიც მონოპოლისტებად და ოლიოგოპოლისტებად გვევლინებიან. ეს უმძიმესი საკითხია. უმუშევრობის თვალსაზრისით საქართველოში უმძიმესი ვითარებაა. მარტო ამ ბოლო რვა თვის განმავლობაში ათიათასობით ადამიანი დარჩა სამსახურისა და შემოსავლის გარეშე. სამწუხაროდ, ყოველდღიურად მართლდება ის პროგნოზი, რომელიც ზაფხულში გამოვთქვით. ყველაფერი დაიწყო გარე მოვაჭრეების დაჩაგვრით, რომლებიც წლების განმავლობაში ამ გზით არჩენდნენ საკუთარ ოჯახებს, მაგრამ, 10 აგვისტოდან მოყოლებული, მათ დაუდგათ შავი დღე. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საბოლოოდ გასწორებოდა ამ ადამიანებს ისე, რომ მათთვის არანაირი ალტერნატივა არ შეუთავაზებია. მაშინვე ვთქვით, რომ გარემოვაჭრეებს აუცილებლად მოჰყვებოდნენ ბაზრებზე დასაქმებული მოვაჭრეებიც, მინიმალაზიებისა და წვრილი სავაჭრო ობიექტების მფლობელები შემდეგ მიკროავტობუსების ბიზნესში ჩართულებს შეავიწროებდნენ, ბოლოს ტაქსების ბიზნესსაც მიადგებოდა ხელისუფლება. ამ ოთხი კომპონენტიდან ჯერჯერობით სამი უკვე სახეზეა. რა თქმა უნდა, რეკეტი სხვა სფეროებშიც განხორციელდა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს სამი გამოვყავი. ამათგან ჯერჯერობით ტაქსისტები არ არიან შევიწროებულნი. თუ საზოგადოებამ, მათ შორის არასამთავრობო და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა რეალურად არ მიიღეს უფრო აქტიური ზომები ხელისუფლების ძალადობის შესაჩერებლად და, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების ცვლილებისაკენ, აუცილებლად დადგება ტაქსისტების რიგიც და ყველა იმ ადამიანის რიგი, რომელიც სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მიერ არ არის გადაქცეული დაქირავებულ პირად ან უმუშევრად, რომელიც ხელისუფლებისგან ყოველთვიურად დახმარებას უნდა ელოდეს. ხელისუფლებას არ სჭირდება არც ერთი თავისუფალი ადამიანი. საჯარო მოხელეებს ხელისუფლება დამოუკიდებლად მოქმედების არანაირ უფლებას არ უტოვებს. ხელისუფლებას ექვემდებარებიან ბიზნესის წარმომადგენლებიც, ხოლო სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე იმ მიზერული დახმარების გაცემა, რომელიც დღეს არსებობს, პირდაპირ პოლიტიკური მექანიზმებით რეგულირდება.



არაერთი შემთხვევა ვიცით, როცა ეს დახმარება ისეთ ადამიანებზე გაიცემა, რომლებსაც ნაკლებად სჭირდებათ, რეალურად გაჭირვებულები კი დახმარებებს ვერ იღებენ. ასე რომ, სააკაშვილის ინტერესშია, ჰყავდეს გარკვეული კატეგორია მოხელეებისა, რომლებიც პირდაპირ მასზე არიან დამოკიდებული და, ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეიძლება გააგდონ სამსახურიდან. ასევე არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეძლევათ უფლება, იმუშაონ მხოლოდ იმ კომპანიებში, რომლებიც ეკუთვნის სააკაშვილის, მერაბიშვილს, ადეიშვილს, ბენდუქიძესა და რურუას და მათ უახლოეს გარემოცვას. დანარჩენი ყველა ბიზნესი, მით უმეტეს წვრილი ბიზნესი, მიუღებელია ორი რამის გამო. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ისინი კონკურენციას უწევენ მსხვილ ბიზნესს კარგი მომსახურებითა და დაბალი ფასებით, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნესში დასაქმებული ადამიანები არ ელოდებიან ხელისუფლებისგან დაფინანსებას და არც სამსახურის დაკარგვის ეშინიათ. აქედან გამომდინარე, მათი არსებობა პოლიტიკურადაც მიუღებელია, ისევე, როგორც ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარეა ხელისუფლებისთვის მიუღებელი. ეს არის დანაშაულებრივი მოქმედება, ავტორიტარიზმის მწვერვალი, რომ სააკაშვილის გამოისობით საქართველოში არ შეიძლება, პრაქტიკულად, ვინმეს ჰქონდეს რაიმე დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, რათა მან არ შეძლოს საკუთარი თავის რჩენა და, აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლად ფიქრი იმაზე, თუ რა პოლიტიკურ პოზიციაზე დადგეს, როგორი იყოს მისი სამოქალაქო პოზიცია და როგორ გამოხატოს საკუთარი აზრები.

***— ანუ დასაქმებულთა უფლებები ბოლომდე დაუცველია?***

— სახეზეა მონური შრომის კოდექსი, რომელიც არის ნაწილი ამ მახინჯი სისტემისა. შესაბამისად, ყველა ის პირი, ვინც სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული ან სახელისუფლებო ბიზნესში, პრაქტიკულად, მონის მდგომარეობაშია ჩაყენებული და ის ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს სამსახურიდან გაგდებული. ამიტომაც უნდათ, კერძო სექტორში დასაქმებულთა ნაწილი გადააქციონ დაქირავებულებად და ისინი იყვნენ ხელისუფლების ტყვეები, ხოლო დიდი ნაწილი გადააქციონ სოციალურად დაუცველებად, რომლის დახმარების საკითხი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მორჩილი იქნებიან ხელისუფლების მიმართ. ეს არის სოციალური გენოციდი. პოლიტიკური და სამოქალქო კუთხით კატასტროფული და კიდევ უფრო მძიმე სიტუაციაა. სასამართლოში 89%-ს მიაღწია ხელისუფლებისა და პროკურატურის პოზიციის გაზიარებამ სასამართლოს მხრიდან. საარჩევნო თვალსაზრისით კრიტიკული სიტუაციაა. აშკარაა, ხელისუფლებას არ უნდა რეალურად ფიქრი იმაზე, რომ საარჩევნო გარემო გააჯანსაღოს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპამდე მათი მხრიდან რაიმე სერიოზული წინადადებები არ ყოფილა ამ მიმართულებით, ანუ ჩვენ გვართმევენ არჩევანის უფლებას, თავისუფალ სასამართლოს, სიტყვისა და მედიის თავისუფლებას. თბილისს გარეთ, პრაქტიკულად, სრული საინფორმაციო ვაკუუმია, რაც ხელისუფლებას აძლევს ხელს. სიტუაცია კრიტიკულია. ადამიანებს არა მხოლოდ ღირსებას ულახავენ, არამედ ელემენტარულად თავის გადარჩენის საშუალებას არ აძლევენ. შესაბამისად, სიტუაცია ძალიან დაძაბულია და საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების მხრიდან საჭიროებს მეტ აქტიურობას, ვიდრე დღეს არის.

***— ამ მძიმე ფონის მიუხედავად, პარლამენტში გამოსვლისას ყველა მინისტრის მოღვაწეობა მეტნაკლებად დადებითად შეფასდა, არადა, საზოგადოების დიდი ნაწილი რიგი მინისტრების გადადგომას ელოდა.***

— პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას: საქართველოს მთავრობა არ ჰყავს. საქართველოს არ ჰყავს პარლამენტი და არ აქვს სასამართლო, ანუ საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს არც ერთი ნიშანი არ არის. შესაბამისად, ე.წ. მთავრობის წევრებმა ე.წ. პარლამენტში ასე მშვიდად ჩაიარეს, იმიტომ რომ, უმრავლესობის მხრიდან მათ არათუ ადეკვატური კრიტიკა არ შეხვდათ, არამედ ამბრაზურასავით გადაეფარა დიდი თუ პატარა ნაციონალი იგივე კობა სუბელიანს თუ სხვა მინისტრს, რომელიც არანაკლები დამნაშავე იყო, ვიდრე ის. რაც შეეხება ოპოზიციას, ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან იყო კრიტიკა, მაგრამ მათი ანუ ოპოზიციონერების უკიდურესი სიმცირის გამო პარლამენტში, ბუნებრივია, ამას სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. პასუხისმგებლობის საკითხიც ფორმალურად იქნა დასმული. რაც შეეხება სახელისუფლებო გუნდის შიგნით ურთიერთკონტროლის მექანიზმებს, ამაზე ლაპარაკი ჩვენ არ გვიწევს, იმიტომ რომ ქვეყანას მართავს არა ხელისუფლება, თუნდაც ერთპარტიული, არამედ დანაშაულებრივი დაჯგუფება, სადაც ფორმალურ თანამდებობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აქ გადაწყვეტილებას არ იღებენ პარლამენტში გამოსული მინისტრები. საქართველოში ყველა გადაწყვეტილების ავტორი სააკაშვილია. ასევე მასზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლია თითო-ოროლა მინისტრს, ძირითადად ძალოვან მინისტრებს, რომლებიც დღემდე პარლამენტში არ მისულან. საუბარია ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილზე. ისინი პარლამენტში გამოჩნდებიან თუ არა, კიდევ საკითხავია. ამით ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ მთელი ძალაუფლება სააკაშვილისა და ერთი-ორი ძალოვანი მინისტრის ხელშია და არ იმ ადამიანებისა, რომლებიც ამა თუ იმ დარგში, წესით, პოლიტიკას უნდა განსაზღვრავდნენ. ვინც ჩვენ პარლამენტში ვიხილეთ, მათ მხოლოდ მინისტრის როლი აქვთ შესასრულებელი და ამასაც საკმაოდ უნიჭოდ ასრულებენ.

***— პირადად თქვენ რომელი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდით და რა არგუმენტების საფუძველზე? რამდენად ობიექტურად წარმოჩნდა მინისტრების საქმიანობა?***

— ვფიქრობ, საჭიროა და ამას ქართველი საზოგადოება მოახერხებს, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას, რადგან გადაწყვეტილებებს ის იღებს. შესაბამისად, მისი დანაშაულების შემსრულებელი ყველა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. რომელიმე ცალკეული მინისტრის გამოცვლას დატვირთვა არ გააჩნია. თითოეული მათგანი არის სისხლის სამართლის დამნაშავე, იმიტომ რომ დანაშაულებრივი ბრძანებების ძირითად გამცემებად ისინი არ გვევლინებიან. ისინი გვევლინებიან შუალედურ გამტარ რგოლად. იგივე სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის დანაშაულებრივი ბრძანებების გამტარ რგოლად. შესაბამისად, რომელიმე ამ მინისტრის გადაყენებაც რომ მოხდეს, ეს განსაკუთრებული დატვირთვის მქონე არ იქნება, იმიტომ რომ ავაზაკი ხალხი საქართველოში საკმაოდ მოიპოვება. კობა სუბელიანს სხვა ავაზაკი შეცვლის თუ შემსრულებელი, მონა სააკაშვილისა, ამას დიდი დატვირთვა არა აქვს, ისევე, როგორც სხვა რომელიმე მინისტრს, შაშკინი იქნება ის, ურუშაძე თუ სხვა. თითოეულ სფეროში სახეზეა კატასტროფული დანაშაულები, რომელთა მთავარი ავტორი სააკაშვილია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ დანაშაულების განხორციელება ხდება ამ პირების მეშვეობით, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ და ყველა მინისტრის მეშვეობით. ამიტომ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მინისტრების გადაყენებაზე საუბარი არასერიოზულია. როგორც უკვე ვთქვი, საქართველოს მთავრობა არ ჰყავს. საქართველოს ჰყავს ერთი თეატრალური დასი, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელი სააკაშვილის სახით. ამ დასში დაკავებული დაბალი დონის მსახიობები, ბუნებრივია, მთავარი როლის შემსრულებლები არიან, მაგრამ მათ ეკუთვნით მრავალწლიანი პატიმრობა იმის გამო, რომ უამრავი დანაშაული ჩაიდინეს. სათითაოდ რომ ჩამოვთვალოთ მინისტრების საქმიანობა პასუხისმგებლობის კუთხით, აუცილებელია ორიოდე სიტყვით შევაფასოთ თითოეულის მოღვაწეობა. სუბელიანი არის ერთ-ერთი ყველაზე გამოხატული ავაზაკი, მეკობრე, რომელიც არანაკლები სისხლითა და ძარცვის ხარისხით გამოირჩევა, ვიდრე სომალელი მეკობრეები. ამიტომაც მას მიეძღვნა შესაბამისი ფორმატის პლაკატი — სააკაშვილის მთავრობა ხალხის წინააღმდეგ. კობა სუბელიანის სინდისზეა ათიათასობით დევნილის გაძარცვა.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ დღემდე საქართველოში მცხოვრებ ძველ დევნილებს, 72-73 წლის დევნილებს, მათ 80%-ს სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება არ მიუღია. ეს დახმარებები შემოვიდა მათ შორის დასავლეთის მხრიდან. ეს ფული ჩაიჯიბა კობა სუბელიანმა, სააკაშვილთან და მერაბიშვილთან ერთად. გახსოვთ, მერაბიშვილი უშუალოდ იყო ჩართული არაერთ პროექტში, რომლებიც დევნილების საკითხებს ეხებოდა. 2008 წლის დევნილებს რაც შეეხება, სულ მცირე, ამ დევნილების ნახევარს არ აუღია ფულადი კომპენსაცია, რომელიც ოფიციალურად მათზე იქნა გამოყოფილი. ეს თანხაც, ბუნებრივია, სააკაშვილმა და ამ ორმა მინისტრმა მიითვისეს. მათ თანხის ნაწილი ჯიბეში ჩაიდეს, ნაწილი თავიანთ ზონდერებზე გაანაწილეს, იქნება ეს ბასიშვილის ბანდა თუ სხვა დაჯგუფება. ასეულობით მილიონი იქნა გამოყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. ამ თანხის უდიდესი ნაწილი დახარჯულია კორუფციული გზით. მინდა ხაზი გავუსვა, რომ 5.000 ადამიანი იქნა გამოსახლებული აგვისტოდან მოყოლებული იანვრის ჩათვლით. ეს ბარბაროსობა ორ ტალღად განხორციელდა. ამ ეტაპზე 27 ობიექტი იქნა დაცლილი დევნილებისაგან იძულებითა და ხელკეტებით. ეს ადამიანები, ერთი მხრივ, რუსებმა აქციეს დევნილებად, მეორე მხრივ, მათ ეგზეკუცია საკუთარმა ხელისუფლებამ მოუწყო. ამ ადამიანებს ბინებს აძლევენ სოფელში კორპუსის ტიპის სახლებში, მიწის ნაკვეთისა და სამუშაოს გარეშე. ეს არის უმძიმესი მომავლის გარანტია და ამ ადამიანების უფლებების დარღვევა. ამას, ალბათ, რუსები ხელის ფშვნეტით უყურებენ და შეეცდებიან, აფხაზები დაარწმუნონ, ნახეთ, საკუთარ მოსახლეობას როგორ ექცევიან და თქვენ რას გიზამენო. საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ასეთი მოპყრობით მტრის გულს ახარებს. რეალურად კი თავისი არსით პუტინისა და სააკაშვილის მმართველობა, პრაქტიკულად, იდენტურია. თუმცა, საკუთარ მოსახლეობასთან მიმართებით სააკაშვილმა არანაკლები დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე პუტინმა.

# ქართველ გლეხზე ზეწოლა ხორციელდება

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია სააკაშვილის ხელისუფლებას გლეხებისა და ქართული სოფლის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებში ამხელს. შრომის პარტიაში აცხადებენ, რომ ხელისუფლება არათუ არ ზრუნავს სოფლის აღორძინებასა და მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, არამედ, პირიქით, მთავრობის ყველა ნაბიჯი იქით არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი წნეხის ქვეშ მოექცეს სოფლის მოსახლეობა.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ პრესკონფერენცია გამართა და ხელისუფლება გლეხების მოტყუებაში დაადანაშაულა.



როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მსგავსი განცხადების მიზეზი ის პროექტი გახდა, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა და სოფლად სიმინდის თესლის დარიგებას ეხება. საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, სიმინდის ჰიბრიდული თესლით სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა დიდ მოსავალს მიიღებს, რაც მათ ეკონომიკურ მდგომარეობას გამოასწორებს.

პაატა ჯიბლაძის განცხადებით, ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესლის შემოტანა და დარიგება მომავალში გლეხებისთვის მიწების ჩამორთმევასა და სამხრეთაფრიკელი ბურებისთვის გადაცემას ემსახურება.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, აღნიშნულის საფუძველს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს ის გარემოება აძლევს, რომ ჰიბრიდული სიმინდის მიღების მსურველებს „ლიბერთი ბანკში“ სესხის აღებასა და კუთვნილი მიწის ნაკვეთების ჩადებას აიძულებენ, რაც მოუსავლიანობისა და კაბალური სესხების დაუბრუნებლობის შემთხვევაში ავტომატურად ბანკის მიერ გლეხებისთვის ამ მიწების ჩამორთმევას გამოიწვევს.

გუშინვე ლეიბორისტული პარტიის წევრმა პაატა ჯიბლაძემ ოფიციალურად მიმართა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, გააუქმოს აღნიშნული პროგრამა და ამ პროგრამის გამო მოსახლეობა უფრო არ გააკოტრონ.

ლეიბორისტების აზრით, მოსახლეობამ უარი უნდა თქვას ჰიბრიდული სიმინდის თესლის შესყიდვაზე, რის შეძენასაც ხელისუფლება, მას, ფაქტობრივად, აიძულებს.

## მსახიობმა საგრიმიოროში თავი ჩამოიხრჩო

ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური სახელმწიფო საბავშვო თეატრის მსახიობმა დავით ტოროშელიძემ თავი მოიკლა.

როგორც თეატრის მსახიობები აცხადებენ, 26 წლის დავით ტოროშელიძე თეატრის საგრიმიოროში ჩამომხრჩვალი იპოვეს. თვითმკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე მან კოლეგებს სთხოვა, მარტო დაეტოვებინათ.

თეატრის მსახიობ დავით როსტომაშვილის განცხადებით, მას დავით ტოროშელიძემ უთხრა, რომ უხასიათოდ იყო და ცოტა ნასვამ მდგომარეობაშიც იმყოფებოდა, ელოდებოდა ახლობელს და რამდენიმე წუთით მარტო დარჩენა სურდა. მსახიობები იხსენებენ, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მათ კივილის ხმა გაიგეს და როდესაც საგრიმიოროში შევიდნენ, მსახიობი უკვე ჩამომხრჩვალი დახვდათ.

კოლეგები გარდაცვლილს სტაბილურ და ნიჭიერ ადამიანად ახასიათებენ და აცხადებენ, რომ რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ მათ ინფორმაცია არ ჰქონიათ და მათთვის მომხდარი ძალიან მოულოდნელი იყო.

ინტერპრესნიუსი

# ბაკურ კვეზერელი გადასაყენებელია!

ნანა მიშელაშვილი

**ოპოზიცია მთავრობას მორიგ ტყუილში ამხელს. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ პრეზიდენტსა და მთავრობას მორიგი ტყუილის გავრცელების გამო საყვედურობენ. გუშინ ლევან ვეფხვა ემ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის პირობა სოფლის მეურნეობის 159 მილიონი ლარით გაზრდის შესახებ მორიგი ტყუილია.**

ვეფხვაძის განმარტებით, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამას პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაურის მიერ დაპირებული 150 მილიონი ლარის ნაცვლად, მხოლოდ 9 მილიონი ემატება. სწორედ 9 მილიონი ლარია დაფიქსირებული იმ საბიუჯეტო ცვლილებების პროექტში, რომლის ინიცირებაც პარლამენტში ორი დღის წინ მოხდა.

დეპუტატმა განმარტა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებები ცალსახად ადასტურებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა და ნიკა გილაურმა პარლამენტის ტრიბუნიდან ისაუბრეს, რეალურად არ არსებობს.

— 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები ცხადყოფს, რომ საქართველოს აგრარულ ქვეყნად გადაქცევის თაობაზე გაკეთებული დაპირებები მთავრობის მორიგი ტყუილია, — განაცხადა ვეფხვაძემ.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის განცხადებით, ქრისტიან-დემოკრატები ბაკურ კვეზერელის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვდნენ, ბიუჯეტში ცვლილებებით დადასტურდა, რომ ან კვეზერელს არა აქვს მთავრობაში წონა, ან მთავრობას პრიორიტეტი არა აქვს, რომ იქცეს აგრარულ მთავრობად, როგორც ამას სააკაშვილი ბრძანებდა.

ლევან ვეფხვაძეს აინტერესებს, ბიუჯეტის პროექტში რატომ არ არის გაწერილი და დაკონკრეტებული, თუ რაში და როგორ აპირებს მთავრობა სოფლის მეურნეობისათვის დამატებული 9 მილიონი ლარის ხარჯვას. ის საკუთარი გუნდის სახელით სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის დაკავებული თანამდებობიდან აუცილებელი გადაყენების შესახებ კიდევ ერთხელ საუბრობს.

— ქრისტიან-დემოკრატები სახელმწიფო ბიუჯეტში შესატან ცვლილებებში მხოლოდ ერთ პოზიტივს ხედავენ, რაც ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების 30 მილიონი ლარით გაზრდაში მდგომარეობს. ოთხშაბათს, პარლამენტში პრემიერი მოვა, ჩვენ მას ვეტყვით, რომ 10 ნაბიჯიდან, რომელიც მან წარმოადგინა პარლამენტში, ერთი ნაბიჯი უკვე ტყუილია. მას ვკითხავთ, დანარჩენი ათი ნაბიჯი რამდენად არის რეალური? — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

პრემიერმა ნიკა გილაურმა გასულ კვირას დეპუტატებს ის სტრატეგიული გეგმა გააცნო, რომელიც 10 მიმართულებას გულისხმობდა. სწორედ ამ 10 ნაბიჯზე მიუთითა ლევან ვეფხვაძემ ბრიფინგზე.



ვეფხვაძე ერთადერთი დეპუტატი არ ყოფილა, რომელმაც სოფლის მეურნეობის დაფინანსების შესახებ განცხადება გააკეთა. ვეფხვაძის შემდეგ ბრიფინგი გამართა „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ და ხელისუფლება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობის გამო გააკრიტიკა.

ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობისთვის 150 მილიონი ლარი არ გამოიყოფა, არადა ამ 150 მილიონიდან თითოეული თეთრი ბიუჯეტში ცვლილებებში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი.

— როდესაც საუბარი იყო 150 მილიონ ლარზე, ეს იყო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რომ გაზაფხულზე ქუჩაში არ დაიწყოს საპროტესტო გამოსვლები. აღმოჩნდა, რომ 150 მილიონ ლარზე საუბარი კვლავ პიარსვლაა, — აღნიშნა „ქართული დასის“ ლიდერმა.

სოფლის მეურნეობის დაფინანსების საკითხს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილიც გამოეხმაურა. ცაგარეიშვილის განცხადებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „ტყუილს იმდენად მოკლე ფეხები“ აქვს, რომ ზუსტად ერთ თვეში გამოაშკარავდა.

ჟურნალისტებთან საუბრისას გიორგი ცაგარეიშვილმა თებერვალში პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის სტენოგრამა გაიხსენა, სადაც პრეზიდენტი სოფლის მეურნეობისთვის 150 მილიონ ლარის დამატებით გამოყოფაზე საუბრობს. ცაგარეიშვილის შეფასებით, აშკარაა, რომ დამატებით გამოყოფილი 150 მილიონი ლარი ბუნებაში არ არსებობს.

ოპოზიციონერი დეპუტატის განმარტებით, აღმოჩნდა, რომ ამ 150 მილიონ ლარში შედის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უკვე დამტკიცებული ბიუჯეტი 69, 154 ათასი ლარის ოდენობით, დასამატებელი კი დარჩა დაახლოებით 81 მილიონი ლარი. შესაბამისად, საბიუჯეტო ცვლილებებით დამტკიცებულ 69, 154 ათას ლარს ემატება 9, 154 ათასი ლარი და 78, 154 მილიონი ლარი ხდება.

გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, კვლავ ბუნდოვანი რჩება დანარჩენი, დაახლოებით 72 მილიონი ლარის წყარო და პერსპექტივა.

— სააკაშვილს ეს დაპირება ან წამოსცდა, ან მთავრობამ დამატებითი თანების მობილიზება სოფლის მეურნეობის პროგრამებისთვის ვერ მოახერხა, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციას პასუხობს, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრისთვის დეტალურად უნდა მოესმინათ და გაიგებდნენ ყველა იმ პროექტის შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობაში ფინანსდება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი სოფლის მეურნეობის დამატებით 150 მილიონ ლარის დაფინანსებაზე კონკრეტულად არ საუბრობს და მხოლოდ იმას ამბობს, რომ ამ 150 მილიონ ლართან დაკავშირებით ოთხშაბათს პასუხი იქნება გაცემული.

— ზუსტად არის გაწერილი ის პროექტები, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, — აღნიშნა ზურაბ მელიქიშვილმა და დასძინა, რომ დებატების დროს დეტალურად იქნება ეს საკითხი კიდევ ერთხელ განმარტებული.

რაც შეეხება ბიუჯეტში ცვლილებებს, რომელიც ახლა პარლამენტში განიხილება, რამდენიმე უწყების დაფინანსება იზრდება.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილი 348.8 მილიონი ლარით იზრდება. რაც შეხება ხარჯების ნაწილს, აქედან მხოლოდ ნაწილი, 230 მილიონი ლარია გაწერილი, ხოლო დანარჩენი 118 მილიონი აკუმულირდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

აგრეთვე იზრდება რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები 15 მილიონი ლარით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები კი დაახლოებით 11 მილიონი ლარით იზრდება, რომელიც ტურიზმის განვითარებას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების დაცვის ხარჯებს და ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის რეორგანიზაციის შემდეგად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციონირების დაფინანსებას მოხმარდება.

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის პაპუნა პეტრიაშვილის თქმით, ასევე იზრდება სახელმწიფო მინისტრების აპარატების დაფინანსება, კერძოდ კი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ბიუჯეტი 165 ათასი ლარით და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსება 170 ათასი ლარით გაიზრდება.

ბიუჯეტში ცვლილებებით გათვალისწინებულია პრეზიდენტის ინიციატივა პენსიების მატებასთან დაკავშირებით და 55 მილიონი ჯანდაცვის სამინისტროს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გადაეცემა.




# სააკაშვილს ოპოზიცია მონოპოლიზირებული ჰყავს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

*— ქალბატონო ირინა, დღეს ოპოზიცია ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი ნაწილი რევოლუციებს აანონსებს, ხოლო მეორე ნაწილი დიალოგის მომხრე იყო, თუმცა დღეს აცხადებენ, რომ დროებით წყვეტენ ამ დიალოგს. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად მოსალოდნელი იყო, რომ ჩიხში შევიდოდა რვიანი და ზოგადად რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?*

— მოლაპარაკებების ჩიხში შესვლას რაც შეეხება, ჩიხზეც კი ზედმეტია ლაპარაკი, იმიტომ, რომ ის, რაც არ არსებობს, ის ჩიხშიც ვერ შევა. ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება არის შეუძლებელი, არა თუ ოპოზიციისთვის, არამედ საკუთარი გუნდელებისთვისაც საკმარისია, იქ რამე პატარა წინააღმდეგობა მაინც წარმოიქმნას. ამიტომ, არა მგონია, რომ რომელიმე, მით უმეტეს, მოლაპარაკების მომხრე ოპოზიციონერი რეალურად ამყარებდა იმედს ამ მოლაპარაკებაზე.

*— მაშინ რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?*

— ოპოზიციის ორივე ნაწილს ამდაგვარად გაყავს დრო და ორივე ნაწილი ამ სტატუსებით ცდილობს საკუთარი თავის შენარჩუნებას პოლიტიკურ სპექტრში ოპოზიციის თანამდებობაზე. მე ეს არაერთხელ მითქვამს, რომ ოპოზიცია დღეს გახდა ნომენკლატურული, როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო და აქედან გამომდინარე არც ხელისუფლების ინტერესებშია, რომ ისინი რეალურად მართლა ოპოზიციონერებმა ჩაანაცვლონ, არც მათ უკან მდგომი ძალების ინტერესებში და, ბუნებრივია, საკუთარ კარმიდამოს გააფთრებული იცავს როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიცია. ჩიხშია შესული, ეს არის ფორმულა, რომლითაც ისინი ახასიათებენ დღევანდელ მდგომარეობას, ხოლო რაც შეეხება რევოლუციის დამაანონსებელ ოპოზიციას, ისინიც ჯერჯერობით ანონსებით იფარგლებიან. თუ გვახსოვს, ჯერ ისინი ლაპარაკობდნენ მარტის დასაწყისზე, თითქოს მაშინ არ იყო ცნობილი, როდის იყო აღდგომა და როდის იქნებოდა მძიმე მარხვის დღეები. დღეს საუბრობენ უკვე მარხვის შემდგომ პერიოდზე, ძალიან დიდი ეჭვის საფუძველი არსებობს იმის თაობაზე, რომ ეს დროც კი ერთგვარად უნდა ეხმიანებოდეს ხელისუფლების ინტერესს. რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოში და ამის დიდი ალბათობაა, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით მოხდება საპროტესტო გამოსვლების აგორება, ამაში დაინტერესებული პირველ რიგში ხელისუფლებაა, იმიტომ, რომ ხელისუფლებას ყველაზე მეტად აინტერესებს დღეს რიგგარეშე არჩევნების ჩატარება საგანგებო პირობებში. მას აქვს გამოცდილება, 7 ნოემბრის შემდგომ როგორც განავითარა მოვლენები, რომელიც შემდეგ „დაგვირგვინდა“ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებით და რითაც დასრულდა, ეს ყველამ ვნახეთ. ანალოგიური გეგმის განხორციელებას გეგმავს ხელისუფლება, ოღონდ უფრო ხისტი და მძიმე ფორმებით ცდილობს ხელისუფლება ოპოზიციის დახმარებით.

*— ფიქრობთ, რომ ამაში დაეხმარება ოპოზიცია ხელისუფლებას?*

— რასაკვირველია, ოპოზიცია მთლიანად ხელისუფლების თამაშს თამაშობს. ახლაც, როდესაც საქმე ეხება საპარლამენტო არჩევნებს, სააკაშვილს, რასაკვირველია, სურს ძალაუფლების შენარჩუნება და ერთადერთი ფორმა მისთვის ამ ეტაპზე ეს არის პრემიერმინისტრობა და ერთადერთი გზა, რომლითაც ის გახდება პრემიერმინისტრი, არის არა რიგითი, არამედ სწორედ რიგგარეშე, საგანგებო პირობებში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები და ამ პარლამენტში მიღებული შემადგენლობა. აი ეს არის მოკლედ რომ მოვხაზოთ გეგმა, რომელსაც ხელისუფლება წერს და შეძლებისდაგვარად ახორციელებს, თან ახორციელებს ოპოზიციის დახმარებით. ეს ხდება ოპოზიციის მხრიდან შეგნებით თუ უგუნურებით, ამას შედეგის თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, სამწუხარო რეალობაა, რომ რამდენიმე წელია ჩვენ სწორედ ასეთ ურთიერთობას ვადევნებთ თვალყურს ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.

***— ამით იმის თქმა გინდათ, რომ ოპოზიციის ორივე ფრთა ხელისუფლების თამაშს თამაშობს?***

— რაც შეეხება პირველ ფრთას, ანუ საპარლამენტო ოპოზიციას, ის ამას ბევრად უფრო პატიოსნად აკეთებს. რეალურად არც მალავს ამას, რა თქმა უნდა, ხმამაღლა არცერთი საპარლამენტო ოპოზიცია არ აცხადებს, რომ ის გარიგებულია სააკაშვილთან, მაგრამ მათი არარადიკალიზმი, თუნდაც ერთი მაგალითი ავიღოთ იგივე გიორგი თარგამაძის და მისი პარტიის მაგალითი, როდესაც ერთი თვის წინ შექმნილი პარტია მეორე ადგილზე გავიდა საპარლამენტო არჩევნებში. ოდნავ, ძალიან შორიდანაც კი ვინც დაკავშირებულია პოლიტიკასთან, მან მშვენივრად იცის, რომ ასეთი რალაცეები არ ხდება ჩვეულებრივად. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, ვიმეორებ, როცა არის ინტერესთა თანხვედრა, როცა არის ე.წ., ეს ფრაზა ვანო მერაბიშვილის და მიშა სააკაშვილის შემთხვევაშიც გამომიყენებია, ასეთი გამოთქმა — სიმბიოზი, ანუ ორი პარაზიტის თანაარსებობა, როდესაც ერთს მეორის გარეშე არსებობა არ შეუძლია. თუ ამ ორ პარაზიტს, სააკაშვილს და მერაბიშვილს გავაფართოებთ და

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ამუშავებენ თუ არა ბავშვებს მონებად ხევსურეთში

თეა მარხვაი ე

ვინც 24 მარტის გადაცემა „პროფილს“ უყურა, გაოგნებული დარჩა. გადაცემის სტუმრები ბავშვები იყვნენ, რომლებსაც, როგორც თავად ყვებოდნენ, ნათესავები ფაქტიურად მონებად ამუშავებდნენ. იმ გადაცემის მაყურებელმა ბევრი სულისშემძვრელი ისტორია მოისმინა.

ამ ისტორიას ინტერნეტ-ფორუმებზე სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. ამ თემამ განსაკუთრებით ხევსურების გაღიზიანება გამოიწვია. გადაცემაში ხომ საუბარი ხევსურეთზე იყო. ამ გადაცემაში მონათმფლობელებად მოხსენიებული ნათესავები არ ჩანდნენ. ხევსურების გაღიზიანება სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია.

მათი მტკიცებით, გადაცემის ავტორს მეორე მხარისთვისაც უნდა მოესმინა. მეორე მხარე გადაცემაში ვერ მოხვდა. სამაგიეროდ მათ მიმართ ხელისუფლებამ გამოიჩინა ყურადღება.

როგორც დუშეთის საკრებულოს წევრი, პოეტი გელა დაიაური ამბობს, ამ გადაცემაში მოხსენიებული „მონათმფლობელები“ მოდულის შენობაში დაუბარებიათ დაკითხვაზე. მათ მოწმეებად ჩამოჰყვნენ მეზობლებიც. დაკითხვიდან გადაცემის გმირები უკან, ხევსურეთში დაბრუნდნენ.

ეს თემა კი ისევ აქტუალურია. ხევსურები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. შეურაცხყოფილად მიიჩნევს თავს გელა დაიაურიც. გადაცემაში სტუმრად მყოფი ბავშვებიც მისი ნათესავები არიან და „მონათმფლობელებად“ მოხსენიებული ოჯახებიც.

„ტრიბუნა.გე“-ს ჟურნალისტ მადლენა მაჭარაშვილთან საუბარში გელა დაიაური ამბობს, რომ მან ვერაფრით ვერ ახსნა თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს გადაცემა.

— როდესაც ასეთ ბრალდებებს უყენებ ვინმეს, აუცილებელია, მეორე მხარის პოზიციასაც მოუსმინო. ის ოჯახები, რომლებსაც „მონათმფლობელობის“ ბრალდება წაუყენეს, უპატიოსნესი ოჯახები არიან. მთელი ცხოვრება შრომასა და ჯაფაში არიან და მთას ამაგრებენ. პირადად ვიცნობ მათ. ნათესავებად მერგებიან. ბავშვების დედა, თავის დროზე, ოჯახიდან წავიდა — შვილები მამას მიუტოვა. მამას დალევა უყვარდა, ბავშვებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა. საჭმელი არ ჰქონდათ და შიმშილობდნენ. მერე ნათესავებმა გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ. თითო ბავშვი თითო ოჯახმა წაიყვანა, — ამბობს პოეტი დაიაური.

ამ შემზარავ ისტორიასთან დაკავშირებით დაიაური არანაკლებ შემზარავ ფაქტს ასახელებს. მისი თქმით, ხევსურეთში ყველამ კარგად იცის, რომ დედას ბავშვებისთვის კარგი არაფერი გაუკეთებია. დაიაურის განცხადებით, ბავშვების დედამ ერთ-ერთ ოჯახს შვილი დაუტოვა და 400 ლარიც გამოართვა.

— მან შვილი 400 ლარად გააქირავა. ისინი ბავშვს მაინც იტოვებდნენ, მაგრამ დედამ წინასწარ მოსთხოვა ფული. ყველას კარგად ვიცნობ ხევსურეთში და შემიძლია ვთქვა, რომ ოჯახები, რომლებშიც ეს ბავშვები იზრდებოდნენ, თითით საჩვენებელი ოჯახები არიან. ბავშვები შეიფარეს და სწორი გზა უჩვენეს. დედა კი მუდმივად ფულს ითხოვდა მათგან. შვილების გამოგზავნა არც უთხოვია, — იხსენებს დაიაური.

დუშეთის საკრებულოს წევრი იმ პირობებზეც საუბრობს, როგორშიც ეს ბავშვები ცხოვრობდნენ. გადაცემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნათესავები ამ ბავშვებს ფაქტიურად აშიმშილებდნენ.

— პირველად რომ საუბრობდა გოგო, ლელა, იმ ოჯახში ხშირად დავდიოდი. ოჯახის უფროსი ჩემი მეგობარია. მე მგონი, ქალაქში არ ჭამენ ისეთ საჭმელს ოჯახებში, როგორსაც ისინი ჭამენ, ყოველდღე ხინკალს ხარშავდნენ. მე როცა მივდიოდი, ეს ბავშვებიც ჩვენთან ერთად ისხდნენ სუფრასთან, — ამბობს „ტრიბუნა.გე“-სთან საუბარში გელა დაიაური.

ამ გადაცემიდან ყველამ შევიტყვეთ, რომ ამ ბავშვებს მონებივით ამუშავებდნენ. გელა დაიაური არ უარყოფს, რომ ხევსურეთში ბავშვები ხშირად მუშაობენ, ოღონდ არა მონებივით. ბავშვობაში დაიაურსაც ბევრი აქვს ნაშრომი.

— პირადად მე ამ ბავშვებზე ათჯერ მეტი მიშრომია საკუთარ ოჯახში. დილის ექვსი საათი კი არა, გათენებულიც არ იყო, სამუშაოდ რომ მივდიოდით. ხევსურეთში ოჯახში ყველა შრომობს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. რომ ვშრომობდი, ამით არც არაფერი დამკლებია, შეიძლება მეტიც უნდა მემუშავა, — მიიჩნევს გელა დაიაური.

მისი თქმით, ხევსურთში იმავე სიტუაციაში ცხოვრობს ყველა. ამათ სპეციალურად მიაკერეს მონების იარლიყი.

— ეს იყო ჩვეულებრივი, ტიპური ხევსურული შრომა ოჯახში. მაგათი ტოლა რომ ვიყავი, მეც მეზარებოდა მუშაობა, მაგრამ რომ გავიზარდე, მივხვდი, კარგი იყო, რომ ვშრომობდი. ბავშვობაში მეც დამზარებია ადრე ადგომა, ზოგჯერ ერთი ძილი ყველაფერს მერჩივნა. შრომა არც სირცხვილია და არც ნაკლი. მახსოვს, ზაფხულზე, სადღაც ღამის სამ საათზე ვიღვიძებდით, ვდგებოდით, სახვეტში მივდიოდით. რომ გათენდებოდა, ხვეტა დასრულებული გვქონდა და თიბვას ვიწყებდით. მანამდე დილით ძროხებს ვწველიდით. საღამოს, თიბვის შემდეგ, ისევ მთაში ავდიოდით ძროხების მოსაწველად და დაღლილები ვიძინებდით. ასე მეორდებოდა ყოველდღე. მძიმე შრომა იყო, მაგრამ ხევსურეთში ასე ხდება. ის ბავშვები სწორედ ისევე შრომობდნენ, როგორც იმ ოჯახის სხვა წევრები. არანაირად არ ყოფილან ზედმეტად დატვირთულები, — აღნიშნავს დუშეთის საკრებულოს წარმომადგენელი.

ამ გადაცემაში ბავშვები ბევრ საშინელებას ჰყვებოდნენ. ამბობდნენ, ისეთ მძიმე პირობებში ვიყავით, შუქიც კი არ გვინახავსო.

გელა დაიაურს ეს არ უკვირს. იმიტომ, რომ პირიქითა ხევსურეთში შუქი მხოლოდ ერთი სოფელში — შატილში აქვთ.

— საერთოდ არ არის იქ ელექტროენერგია. 3-4 სოფელი კი ისეთია, ზაფხულშიც ვერ მივა მანქანა, გზა საერთოდ არ არის, — აცხადებს დაიაური.

დუშეთის საკრებულოს წევრი მიიჩნევს, რომ ამ ბავშვებმა ვიღაცის მითითებით ილაპარაკეს ასე. გელა დაიაურის თქმით, ეს ვიღაცის ინტერესებში იყო. ვის ინტერესებში იყო ეს და რა მიზანს ემსახურებოდა ბავშვების მონაყოლი, ეს დაიაურმა არ იცის.

მას იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერს აეხდება ფარდა და ბავშვები სიმართლეს იტყვიან.

მანამდე კი ამ თემის განხილვა ინტერნეტითა თუ სატელეფონო საუბრებში კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

# სააკაშვილს ოპოზიცია მონოპოლიზირებული ჰყავს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

სააკაშვილ-მერაბიშვილს ერთ მხარეზე დავაყენებთ, ხოლო მეორე მხარეზე დავაყენებთ ოპოზიციას, იგივე სურათს მივიღებთ. ეს ოპოზიცია იქნებოდა აბსოლუტურად უაზრო და მის არსებობასაც კი არ ექნებოდა საფუძველი, რომ არ იყოს ეს ხელისუფლება და რომ არ იყოს ასეთი ოპოზიცია, დღევანდელი ხელისუფლება დიდი ხნის წინ დამშვიდობებული იქნებოდა, როგორც მინიმუმ ძალაუფლებას თუ თავისუფლებას არა.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ საპროტესტოო გამოსვლები ხელისუფლების ინტერესებში შედისო, თქვენი აზრით, როდის უფრო აწყობს საპროტესტო ტალღა ხელისუფლებას, გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე?***

— ამის პროგნოზირება შეუძლებელია, ამას შექმნილი სიტუაცია გადაწყვეტს. სწორედ ამიტომ იცვლება ძალიან ხშირად ოპოზიციის მუქარანარევი ვადები. აღარ დავიწყებ იმის გახსენებას, რამდენმა ცხრა აპრილმა, რამდენმა კიდევ სხვა თარიღმა გაიარა, როცა ჩვენ უნდა დავმშვიდობებოდით ხელისუფლებას. რამდენი ტყუილი კულმინაცია იყო, რამდენი მაქსიმალურად დამუხტული სიტუაცია იყო შემდეგ ასევე მაქსიმალურად განმუხტული ოპოზიციის საშუალებით. დღევანდელ ეტაპზეც ჩვენ გვესმის სხვადასხვა თარიღი და სხვადასხვა გეგმები ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, თანაც არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვენ როცა ორ ნაწილად ვყოფთ ოპოზიციას, საპარლამენტო და არა საპარლამენტო, ეს ძალიან პირობითი დაყოფაა იმიტომ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ასევე ორ ნაწილად გაიყო. ესეც პირობითია, მაგრამ თუ მეტად არა, ორად მაინც გაიყო. ეს არის ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის დაჯგუფება, რომელიც სხვა ადგილიდან და სხვა მარშრუტით იქადნება რევოლუციას და არის ბურჯანაძის დაჯგუფება, რომელსაც საწყისი წერტილიც სხვა აქვს და სავარაუდო თარიღებიც. მე ვფიქრობ, რომ ასეთი აღრევაც, თუნდაც ერთნაირი გეგმით მოქმედი ძალების ერთმანეთთან დაპირისპირებაც, ასევე შედის ხელისუფლების ინტერესებში. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ეს ხდება უგუნურების გამო თუ შეგნებით, ხელისუფლება თავისას აღწევს. მას აღებული აქვს ე.წ. სასტარტო პოზიცია, ობიექტურად არსებული კრიზისის ფონზე კიდევ უფრო ხელოვნურად დაძაბულია სოციალური ფონი. მაგალითად, ის რაც ღირდა 5 ლარი და უნდა გამხდარიყო 7 ლარი გახადეს 9 ლარი, ეს ქვევით დასაწევი ლუფტი ხელისუფლებას სარეზერვო ვარიანტად აქვს დატოვებული. ოპოზიციის რეიტინგი ძალიან დაბალია და ამიტომ თუ დასჭირდა ხელისუფლებას ქუჩის



გამოსვლების პროვოცირება, შემდეგ ის ჩაახშობს და რიგგარეშე არჩევნები რომ დანიშნოს, ამისთვის მწვავე სოციალური ფონი სჭირდება და ის ამ ფონს უკვე ამზადებს. ჩახშობის შემდეგ თუ ის მიაღწევს იმას, რისი იმედიც აქვს — დეპრესიას და დათრგუნულ სიტუაციას მოსახლეობაში, რასაკვირველია, მას ექნება მომგებიანი მდგომარეობა არჩევნების წინ.

***— თქვენ ბურჯანაძის და გაჩეჩილაძის ფრთა ახსენეთ, მათ ერთი და იგივე მოთხოვნები აქვთ, მაგრამ ისინი სერიოზულად არიან დაპირისპირებულები ერთმანეთთან და ეს დაპირისპირება ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც მივიდა...***

— ესეც ხომ ხელისუფლების ინტერესებში შედის? და თუნდაც ამ ყველაფრის გათვალისწინებით ცოტა ძნელია ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ხელისუფლება საკმაოდ მშვიდად იგრძნობს თავს, ანუ არ იგრძნობს საფრთხეს, რომ სიტუაცია გამოვიდეს კონტროლიდან. იმიტომ, რომ რაც არ უნდა დაგეგმო, ყოველთვის შეიძლება სიტუაცია გამოვიდეს კონტროლიდან, მაგრამ მას იმდენი თავის დამზღვევი ნალმი აქვს ჩადებული ოპოზიციაში და ვიმეორებ, ან იმიტომ, რომ იყენებს მის უგუნურობას, ან კიდევ ამას ოპოზიცია შეგნებულად აკეთებს. ამ ყველაფრის ფონზე ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ხელისუფლებას საერთოდ რაიმეს შიში ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

***— რაც შეეხება ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებს, ითქვა, რომ დასავლეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს მხარს სააკაშვილის გაპრემიერებას და ხელისუფლების შიგნით ახალი გეგმა მუშავდება, შესაძლოა სააკაშვილი სულაც პარლამენტის თავმჯდომარედ ვიხილოთო... რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს გეგმა?***

— მე საერთოდ ვფიქრობ, რომ დასავლეთს როცა ახსენებენ, ალბათ იმ ძალაზეა საუბარი, რომელმა ძალამაც თავის დროზე ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილი მოიყვანა ხელისუფლებაში. ეს ძალა როგორც სააკაშვილის, ასევე ოპოზიციის უკანაც დგას. ზოგადად ამას ეწოდება ის საერთაშორისო სამყარო, რომელშიც რუსეთიც შედის. რამდენად ჩაერევა ე.წ. საერთაშორისო გეგმის ხელმძღვანელობა იმაში, თუ ვინ მოვიდეს ხელისუფლებაში და ვინ რა პოსტზე დარჩეს, ამაზე მსჯელობა მე ცოტა არასერიოზული მგონია. იმავე დასავლეთს, ჩვენ გვახსოვს, არ უნდა დაეშვა რუსეთის მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცნობა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთი თვე ჩვენთან ერთად დასტიროდნენ დაკარგულ ტერიტორიულ მთლიანობას, რეალურად ამას არ შეუცვლია მათი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და რუსეთთან მას შემდეგ უსერიოზულესი ხელშეკრულებები დაიდო და უსერიოზულესი შეხვედრები გაიმართა დასავლეთის ლიდერებსა და რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის. მე მგონი, ეს ყველამ საკუთარი თვალით ნახა. რაც შეეხება საქართველოში ძალთა განლაგებას, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მიღწეულია ის მდგომარეობა, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების და ამ ოპოზიციის უკან მდგომი ძალისათვის პრინციპული მნიშვნელობა აღარც უნდა ჰქონდეს, როგორი გადანაცვლება მოხდება ხელისუფლების და ვინ რომელი პოსტით დაკმაყოფილდება მომავალი არჩევნების შემდგომ. რადგან ამ ძალისთვის ეს წაუგებელი თამაშია, ხელისუფლების გადანაცვლებით არანაირი სტრატეგიული ცვლილება საქართველოს პოლიტიკურ კურსში, არც ქვეყნის გარეთ და არც ქვეყნის შიგნით მოსალოდნელი არ არის. ამიტომ ამ ეტაპზე საერთაშორისო სამყაროდან არანაირ ხელშეშლას არ ექნება ადგილი, შესაძლოა არც კბილებით დაიცვან სააკაშვილი, თუმცა არც სხვა რამით შეიწუხებენ თავს. თუ არაფერი არ იცვლება და თუ ყველაფერი ისევ ისე უნდა დარჩეს, როგორც აქამდე იყო, საერთოდ რა აზრი აქვს ამდენ სპექტაკლში მონაწილეობას, თან იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საინორმაციო საშუალებების ჩათვლით, აბსოლუტურად ყველაფრის მონოპოლიზება მოახდინა. მონოპოლიზირებულია სასამართლო ხელისუფლება, აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ადგილობრივი და მონოპოლიზირებულია ბოლოს და ბოლოს თვითონ ოპოზიციაც.

***— ქალბატონო ირინა, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ გიგა ბოკერიას ოპოზიციაში წასვლა და ესეც ხელისუფლების მორიგი ხრიკი ხომ არ არის?***

— რა თქმა უნდა. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა და საერთოდ რატომ უნდა განვიხილოთ სერიოზულად ბოკერიას მოგზაურობა ოპოზიციიდან ხელისუფლებაში და შემდეგ პირიქით. ბოკერია ბოკერიაა და არც მისი შეხედულებები და არც მისი ცინიკური დამოკიდებულება სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების მიმართ არ შეიცვლება, იმის მიხედვით იქნება ის ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში.

## სამთავრობო კვირეული დღეს დაიხურება

დღეს პარლამენტში ე.წ.სამთავრობო კვირეულის ბოლო შეხვედრა გაიმართება. დეპუტატების წინაშე შემაჯამებელი მოხსენებით პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური წარდგება, რის შემდეგაც მასთან დებატები გაიმართება.

დღესვე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მინისტრთა კაბინეტს სრული შემადგენლობით ელიან. ერთ-ერთი მწვავე კითხვა, რომელიც ოპოზიციას პრემიერ-მინისტრთან ექნება, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის დაფინანსების ზრდას შეეხება. კერძოდ, ლაპარაკია სექტორის დაფინანსებისათვის დამატებით 150 მილიონის გამოყოფაზე, რის პირობასაც ხელისუფლება დებდა. თუმცა როგორც დღეს ოპოზიციის წარმომადგებლებმა აღნიშნეს, სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსება არა 150, არამედ მხოლოდ 9 მილიონი ლარით იზრდება.

მთავრობის ასეთი ფორმატით მოსმენა პარლამენტში დღემდე არ ჩატარებულა. რაც შეეხება სამთავრობო საათს, ის კვლავინდებურად ნარჩუნდება.

**მედიანიუსი**

## სამართლიანი საქართველო „კავკასიას“ უპირისპირდება

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ უახლოეს დღეებში ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორ ნინო ჯანგირაშვილის მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნებას აპირებს. როგორც გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის ლიდერმა სერგო ჯავახიძემ განაცხადა, მათ ხელთ აქვთ სასამართლოსგან მოპოვებული მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ ჯანგირაშვილმა „კავკასიაში“ მომხდარი ცნობილი ინციდენტის შემდეგ, როდესაც „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ აქტივისტები დააკავეს, სასამართლო პროცესზე თავისი ჩვენება შეცვალა.

— ეს კი ეჭვს იწვევს იმის გამო, რომ „კავკასიაში“ დაკავებულ ერთ-ერთ აქტივისტ გიორგი გელაშვილს სასამართლომ სასჯელი სწორედ ჩვენების შეცვლის გამო მიუსაჯა, — განაცხადა ჯავახიძემ და დასძინა, რომ მათ ხელთ ჯანგირაშვილის მაკომპრომეტირებელი ვიდეო მასალებიც აქვთ, რომელსაც საზოგადოებას უახლოეს დღეებში წარუდგენენ. ჯავახიძის მტკიცებით, ჯანგირაშვილმა მათი კრიტიკა იმის გამო დაიწყო, რომ თავის დროზე ზურაბ ნოღაიდელთან ფინანსური ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული და მას შემდეგ, რაც ნოღაიდელი პარტიის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს, ტელეკომპანია „კავკასიამ“ ექს-პრემიერის სახით კლიენტი დაკარგა.

— ნოღაიდელი „კავკასიას 100 ათას ლარზე მეტს უხდიდა მოძრაობის რეკლამების ეთერში გასვლის სანაცვლოდ, — აღნიშნა ჯავახიძემ.

**მედიანიუსი**

## საქართველოს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

საქართველოს დღეს სამუშაო ვიზიტით შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ეწვევა.

იგი შეხვედრებს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც გამართავს. კერძოდ, დაგეგმილია მისი შეხვედრა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, პრემიერ-მინიტრ ნიკა გილაურთან, უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასა და და საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის თქმით, შვედეთი საქართველოს დიდი მხარდამჭერი ქვეყანაა და მასთან საქართველოს განსკუთრებით თბილი ურთიერთობა აკავშირებს. კარლ ბილდტის ვიზიტი 31 მარტს დასრულდება.

**მედიანიუსი**

# მოსკოვმა ილორში ეთნოდივერსიული ცენტრი გადმოიტანა

**ცოტა ხნის წინ უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგების დროს განაცხადა, რომ მეგრულად ბიბლიის თარგმნა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. არის თუ არა სეპარატიზმის საფრთხე სამეგრელოში? თავის დროზე რამ გამოიწვია აფხაზეთის სეპარატიზაცია? ვინ არის დაინტერესებული, საქართველოს ძირძველ ქართულ კუთხეებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოაგდოს და ერთიანი ქართული სხეული დაანაწევროს? ამის თაობაზე თავის აზრს გვიზიარებს უპარტიოთა მოძრაობის ლიდერი, აფხაზეთიდან დევნილი მამუკა გვაძაბია.**



გულიკო ბალა ე

*— ბატონო მამუკა, თქვენ როგორ შეხვდით პატრიარქის განცხადებას?*

— ქართველების ეთნოგენეზისი რამდენიმე ათასი წლის წინ დაიწყო. გარკვეულწილად, ეს პროცესი პოლიტიკურ კალაპოტში ქუჯიმ და ფარნავაზმა მოაქციეს. სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველები ერთიან ეთნოგენეზისში მოექცნენ. მათ ბევრი საერთო ჰქონდათ. შეუთავსებლები ერთიან პოლიტიკურ თუ ეთნოველში ვერ მოთავსდებოდნენ. ქუჯიმ და ფარნავაზმა ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბებას პოლიტიკურად საფუძველი ჩაუყარეს. ეთნიურად ერთი და იგივე ერი ბევრია მსოფლიოში ცალ-ცალკე და პოლიტიკურად ერთ ერად ვერ ყალიბდება. ეს ორი ჭკვიანი ადამიანი მიხვდა, რომ გაერთიანებით მტერს უფრო ადვილად აღუდგებოდნენ წინ. წლების განმავლობაში ქართული წარმოშობის ჭკვიანი ადამიანები, ჭკვიანი პოლიტიკოსები ამ გზას მიჰყვებოდნენ. ამ გზის ჭკვიანი გამგრძელებელი არის ბაგრატ მესამე, რომელიც დღეს გალის რაიონშია დაკრძალული.

*— სამეგრელოს სეპარატიზაციის საფრთხე არ არსებობს?*

— სამეგრელოში სეპარატიზმის საფრთხე არ არსებობს. ქუჯის შემდეგ იყო ჭყონდიდურ-აღმაშენებლური დოქტრინა. ჭყონდიდელი დასავლეთ საქართველოდან გახლდათ, კოლხი, მეგრელი. დავით აღმაშენებელი მისი აღზრდილია. ჭონდიდელურ-აღმაშენებლურმა დოქტრინამ ერთიან, ძლიერ საქართველოს ჩაუყარა საფუძველი, რომლის ფუნდამენტზე დგას დღევანდელი საქართველო. დღეს აღმაშენებლისა და ჭყონდიდელის საქართველოს ნარჩენებია. შუა საუკუნეებშიც ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსები ამ გზას აგრძელებდნენ. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის ცარისტული იმპერიის „მონობის" ქვეშ მოექცა, ილია ჭავჭავაძემ, საბჭოთა ეპოქაში ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ საფუძველი ჩაუყარეს ერთიან ქართულ ცნობიერებასა და ერთიან ქართულ სახელმწიფოს. მეც მათ აზრს ვიზიარებ. ვინც ამ იდეას ეწინააღმდეგება, ვინც ჩემს ეთნიურ იდენტობას, როგორც ქართველისას, ეხება, ის არის არა მხოლოდ საქართველოს მტერი, არამედ ჩემი პირადი მტერიც.ბიბლიის თარგმნის აუცილებლობა არ იყო. ჩემს საგვარეულოში, ჩემს წინაპრებში, ბაბუაჩემი სასულიერო პირი იყო მაშინ, როცა ქართულ ენაზე სწავლა აკრძალული იყო და სლავურ ენაზე ასწავლიდნენ. მერე მყავდა ძალიან მორწმუნე ქალბატონი დედაჩემის მამიდა, რომელიც ოჯახში მეგრულად ლაპარაკობდა, მაგრამ ლოცვები ქართულად იცოდა.

*— აფხაზეთშიც ხომ იგივე ხდებოდა, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.*

— დიახ. დღეს მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით შეიძლება ასეთი საკითხების განხილვა. ქართული ისტორიოგრაფია და ქართული ლინგვისტიკა ზოგიერთ საკითხში არ უნდა სცოდავდეს ძალიან მდიდარ მეგრულთან, როგორც ქართული ენის ერთ-ერთ საფუძველთან, რასაც ივანე ჯავახიშვილი და აკაკი შანიძეც ადასტურებენ. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, 1927-28 წლებში, ჯერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ხოლო შემდეგ საქართველოს ცკ-ს საიდუმლო დადგენილებებით, საქართველოს ისტორიის ძირეული საკითხების შესწავლა აიკრძალა. მოხდა საქართველოს ისტორიის რაღაც მომენტების ნიველირება. თუმცა, ცხადია, რომ ბიბლიის მეგრულად თარგმნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. საქართველოს სახელმწიფო ენა დღევანდელი ქართულია. მეგრული იქნება, სვანური თუ ლაზური, ქართულ ენას ამდიდრებენ. როგორც ეთნიკურად ქართველი, ამ სივრცეში აბსოლუტურად თავისუფლად ვგრძნობ თავს და რელიგიური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ბიბლიის თარგმნის ვერავითარ საჭიროებას ვერ ვხედავ.

*— ბოლო წლებში ერთი პროექტი ხორციელდებოდა, რომელსაც უცხოელი ქართველოლოგი ხელმძღვანელობდა.*

— მცირე ერების განვითარების პროგრამა რომ იყო?

*— ზუსტად რა ერქვა, არ მახსოვს, მაგრამ არსებობდა კითხვარი, რომელსაც სამეგრელოში ავსებინებდნენ. ადამიანებს ეკითხებოდნენ: რა ენაზე აიდგით ენა? ოჯახში რომელ ენაზე ლაპარაკობთ? სკოლაში რომელ ენაზე სწავლობთ? რომელ ენაზე საუბრობთ სადგურში? ამ კითხვებით უცხოელებს საკბილო ეძლევათ.*

— ეტყობა, ეს კითხვარი დილეტანტის ან პროვოკატორის შედგენილი იყო. მე როცა მეგრულად ვლაპარაკობ, არ მგონია, რომ ქართულად არ ვლაპარაკობ. უბრალოდ, დღეს საქართველოში სახელმწიფო ენა სალიტერატურო ქართულია, რომელსაც მე მივესალმები. არა აქვს მნიშვნელობა, სამეგრელოში, აფხაზეთსა თუ სხვაგან იმის კითხვა, ბავშვი რა ენაზე ამეტყველდა. ის ქართველურად მეტყველებს. ამიტომ საკითხის ასე დასმა, შეგნებული პროვოკაცია და ამ საკითხის პოლიტიზირებაა. ვიღაცას უნდა, საქართველოში მეგრელები ეროვნულ უმცირესობად წარმოადგინოს. ამ დროს მეგრელები ეროვნული უმცირესობა კი არა, უმრავლესობაა საქართველოში, რასაკვირველია, ამ სიტყვის საუკეთესო და პატრიოტული გაგებით. ვინც შეეცდება ჩემი ქართული იდენტობა ხელყოს, ეს არის ჩემი პირადი მტერი და სახელმწიფოს მტერი. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე გვარს, რომელთა სისხლიც ჩემს ძარღვებშია: ნაკაშიძე — გვაძაბიების, არდაშელიების, ჯობავების, ბალიშვილების, არჯევანიძეების, ქეცბაიების. დაწყებული კახეთიდან, დამთავრებული ჯიქებით ყველა ჩამოთვლილი გვარის სისხლი მირევია. ათასი წლების განმავლობაში ჩემამდე მოვიდა ეს ეთნოგენეზისი და მე ქართველად ჩამოვყალიბდი. არავითარი საფუძველი და სერიოზული სეპარატისტული განწყობა არც სამეგრელოში და არც აფხაზეთში არ არსებობს. არის მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანი.

*— აფხაზეთშიც?*

— დიახ, სეპარატისტული განწყობის აფხაზეთშიც თითო-ოროლაა, რომლებიც იკვებებიან რუსული ფულით (ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ) და აბსოლუტურად უმეცრები, ამ საკითხში ჩაუხედავები, სხვადასხვა წიგნებს გამოსცემენ. 5-6 წიგნი ავიღე და დავინტერესდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ წიგნის დამფინანსებელი. გაგიკვირდებათ, ამ წიგნების ავტორების 95%-ს მოსკოვიდან აფინანსებენ. მოსკოვში არის ეთნოდივერსიული ცენტრი, რომელმაც გადმოინაცვლა სოფელ ილორში და დღეს ილორში ფუნქციონირებს. ამ ცენტრს აქვს ძალიან გამოკვეთილი ეთნოდივერსიული ფუნქცია, განსაკუთრებით იმ ადამიანებზე ზემოქმედებისთვის, სადაც მათ ხელი მიუწვდებათ. ეს არის გალის რაიონი. გალის რაიონი განსაკუთრებული იყო არა მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიის შემადგენლობაში, არამედ მთელ საქართველოში. იქ საქართველოს ყველა კუთხის გვარს შეხვდებით, ვთქვათ, ხევსურეთიდან ფსოუმდე. რაღაც ისტორიული რელობის გამო, თუ ვთქვათ, ვინმე ბუთბა დღეს აფხაზად თვლის თავს, ბუთბაია, ან ზუხბაია, ან კიდევ ვინმე სხვა გვარის თავს ქართველად მიიჩნევს. ამიტომ ამ ადამიანებზე ახდენენ როგორც ფსიქოლოგიურ, ისე მატერიალურ ზემოქმედებას. ამ ადამიანებთან აფხაზი, ჯიქი ან უბიხი კი არ მიდის, არამედ მიდის რუსი და ეუბნება, რომელიც ქართველი შენ ხარ, შენ ხარ აფხაზი, წამოდი სოხუმში, ისწავლე უფასოდ, ბინას უფასოდ მიიღებ, სამსახურსაც მიიღებ თუ აფხაზად ჩაეწერებიო.

*— ასეთივე პოლიტიკას ატარებდნენ რუსები წლების განმავლობაში აფხაზეთში. მგონი, აფხაზები ჯარში არ მიჰყავდათ, სხვადასხვა პრივილეგიები ჰქონდათ და ძალიან ბევრი ქართველი აფხაზად ჩაეწერა; როგორც მეუბნებიან, აფხაზეთის ომის დროსაც ისინი უფრო მეტი გააფთრებით ებრძოდნენ ქართველებს.*

— ეს მომენტი იყო. თუმცა, ეს მხოლოდ აფხაზეთს და სამეგრელოს რეგიონს არ ეხება. საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი შეიძლება იხილო აფხაზად. აფხაზებისა და ქართველების ეთნოფსიქოლოგიურ სიახლოვეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართველს აფხაზად გახდომა „არ უჭირს", ხოლო აფხაზს „არ უჭირს" ქართველად გახდომა. აბა, სხვა ერის წარმომადგენლებში თუ არის ასე.

*— ქართველის აფხაზად გახდომა ჩვენ ძალიან ძვირი დაგვიჯდა. ეს ჩვენი ტრაგედიაა, რადგან ჩვენ თავიდან ვერ ავიცილეთ ეს პროცესი.*

— ეს არის ქართველებისა და აფხაზების ტრაგედია. რუსეთის ერთ-ერთმა იმპერატორმა, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში თქვა, რუსეთის იმპერიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ აფხაზებმა თქვან, რომ ისინი ქართველები არ არიან და ის ადგილები შავ ზღვისპირეთში, რომელიც თავისუფალია ენგურიდან ფსოუმდე, რუს-კაზაკებით უნდა იქნას დასახლებულიო.

*— როგორც ჩანს, ბიბლიის თარგმნის გამო პატრიარქმა სეპარატიზმის რაღაც საშიშროება მაინც იგრძნო.*

— საშიშროება არის.

*— თავის დროზე მეგრული წარმოშობის გულიამ აფხაზებს დამწერლობა შეუქმნა.*

— მასთან ერთად მაჭავარიანიც ახსენეთ...

*— ალბათ, ესეც რუსული დავალება იყო. შემდეგ წარმოიშვა აფხაზეთში განცალკევებისა და სეპარატიზაციის იდეა.*

— სამეგრელოში სეპარატიზმის საფრთხეს ვერ ვხედავ, მაგრამ საშიშროებას იმ ადამიანებში ვხედავ, რომლებიც დღეს მოსკოვში სერიოზული ფულის პატრონები არიან, მოსკოვში სერიოზული ბიზნესი აქვთ, მაგრამ სამეგრელოდან არიან. მათი ცნობიერება ძალიან შერყეული და ქართულ რეალობას მოცილებულია. ისინი რუსეთის სახელისუფლებო წრეებისაგან ზეწოლას განიცდიან. როცა მოსკოვში ვიყავი, ჩემთვის უთქვამთ, მეგრელი ხარ თუ ქართველიო. მგონია განათლებული ადამიანია, რაღაც იცის და ამ დროს მეკითხება, შენ ქართველი ხართ თუ? როცა საკადრისი პასუხი მიიღო, შემდეგ ჩემთვის ეს შეკითხვა არ დაუსვამთ, მაგრამ სხვებს ამ კითხვას დღესაც უსვამენ. პროპაგანდა მიდის. სხვადასხვა შარლატანური წიგნები გამოდის, მათ შორის, ზოგი თბილისში იბეჭდება, მაგალითად, სამეგრელოს ისტორიაზე, კოლხეთის ისტორიაზე. დააკვირდით ამ წიგნებს, არც ერთი სერიოზული მეცნიერის გამოცემა არ არის. არიან თვითნასწავლი. ქართველი მეცნიერები, ქართველი ისტორიოგრაფები, ქართველი ლინგვისტები დუმან. ეს პროფანები კი წიგნებს გამოსცემენ. ეტყობა, საქართველოს ისტორიოგრაფიაში რაღაც ტაბუდადებული თემები არის.

*— რა თემებია ტაბუდადებული?*

— მე ამ შეკითხვაზე ბოლომდე კომპეტენტურ პასუხს ვერ ვცემ. პოლიტიკურ დონეზე შემიძლია ვიკამათო. ამაზე ქართველმა მეცნიერებმა უნდა ისაუბრონ. წიგნის სახელწოდებას შეგნებულად არ დავასახელებ. 99% არამეცნიერული, დილეტანტური მსჯელობაა. ქართველი მეცნიერები დუმან. დროა სერიოზულმა მეცნიერებმა მათ პასუხი გასცენ.

*— ქართველმა მეცნიერებმა რაზე უნდა ისაუბრონ?*

— მეცნიერებმა ქართველი ერის გენეზისის, ქართული სახელმწიფოს წარმოშობის რაღაც რეალურ ფაქტებზე უნდა ისაუბრონ.

## სახალხო კრება ეროვნულ ნაკრებს გიორგი დემეტრაძის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს

სახალხო კრების ახალგაზრდული ორგანიზაცია საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს გიორგი დემეტრაძის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

პრესკონფერენციაზე სახალხო კრების ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აკაკი ჩოფლიანმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, ისრაელში საქართველოს ეროვნული ნაკრები რაიმეი ფორმით მხარდაჭერას გამოუცხადებს გიორგი დემეტრაძეს. მისი თქმით, სასამართლო პროცესის მიმდინარეობამ არ აჩვენა გიორგი დემეტრაძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, ისინი მიიჩნევენ, რომ გიორგი დემეტრაძე არის უკანონოდ დაპატიმრებული და არ შეიძლება სატელეფონო საუბრის გამო პირის დაკავება, მაშინ როდესაც გაცილებით მძიმე საუბარი ჰქონდა გივი თარგამაძეს, ამის გამო კი მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

— ჩვენ ქართული ფეხბურთელის გულშემატკივრები ვართ. ქართველმა ფეხბურთელებმა ხორვატიასთან გამართულ შეხვედრაზე სპორტული ჟინი, თავდადება და შეუპოვრობა გამოიჩინეს. დარწმუნებული ვართ, დღეს საქართველო-ისრაელის საფეხბურთო მატჩიც ჩვენი ბიჭების გამარჯვებით დასრულდება. ასევე, დარწმუნებულები ვართ, ჩვენი ფეხბურთელები დღეს მაინც სპორტულ შეუპოვრობასთან ერთად, გამოიჩენენ გამბედაობას და გიორგი დემეტრაძეს სოლიდარობას გამოუცხადებენ, — ნათქვამია ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



მათივე განმარტებით, საქართველო-ხორვატიის მატჩზე, ეროვნულ სტადიონზე გიორგი დემეტრაძისადმი მხარდაჭერა გამოხატეს, სტადიონზე მისული იყვნენ „სახალხო კრების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები დემეტრაძის მხარდამჭერი პლაკატებით, ასევე სკანდირებდნენ გიორგი დემეტრაძის სახელს. თუმცა პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ, მათთვის ხელი შეეშალათ.

**ინტერპრესნიუსი**

## კუჩმამ გიორგი ღონღაძის დაშინების ბრძანება გასცა

უკრაინის ექს-პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ გამოძიების სამუშაო ვერსიით, კუჩმამ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის დაშინების ბრძანება გასცა, ღონღაძის მოკვლა კი უკრაინის მაშინდელმა შსს მინისტრმა იური კრავჩენკომ გადაწყვიტა.

ამის შესახებ სასამართლოში გიორგი ღონღაძის ქვრივის, მიროსლავ ღონღაძის ინტერესების დამცველმა, ვალენტინა ტელიჩენკომ განაცხადა.

— გამოძიების სამუშაო ვერსიით, კუჩმამ გასცა განკარგულება, რომ ღონღაძის მიმართ ისეთივე ზომები მიეღოთ, როგორიც ჟურნალისტ პოდოლსკის წინააღმდეგ - 2000 წელს. მოგვიანებით კი, მაშინდელმა შსს მინისტრმა კრავჩენკომ, თავად გადაწყვიტა ჟურნალისტის მოკვლა და თავად დაავალა პუკაჩს ღონღაძის მკვლელობა, — განაცხადა ადვოკატმა ტელიჩენკომ ინტერვიუში.

ჟურნალისტი ალექსეი პოდოლსკი 2000 წლის ივნისში სცემეს. პოდოლსკი მიიჩნევს, რომ მისი დაშინება სურდათ და ის კრავჩენკოს დავალებით სცემეს. ადვოკატი ტელიჩენკო ამბობს, რომ გამოძიების სამუშაო ვერსიაში კუჩმას მიერ ღონღაძის ცემის გზით დაშინებაზეა საუბარი.

ტელიჩენკო მიიჩნევს, რომ ექს-პრეზიდენტ კუჩმას დანაშაულის მტკიცებულებები არ შეგროვდება. მისი თქმით, შესაძლებელია, რომ "პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, კუჩმას დანაშაულის ფაქტობრივი მტკიცებულებები არ შეგროვდეს".

ინტერნეტ-გამოცემა "უკრაინსკაია პრავდას" ხელმძღვანელი გიორგი ღონღაძე კიევში 2000 წლის სექტემბერში გაიტაცეს. ორი თვის შემდეგ ტყეში მისი თავმოკვეთილი ცხედარი იპოვნეს.

2008 წელს მკვლელობის შემსრულებლები გაასამართლეს: უკრაინის შსს-ს პოლკოვნიკი ვალერი კოსტენკო და ნიკოლაი პროტასოვი. ასევე, მაიორი ალექსანდრ პოპოვიჩი. მათ 12 და 13-წლიანი პატიმრობა შეეფარდათ.

2009 წელს მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორი - გადამდგარი გენერალი ალექსეი პუკაჩი დააკავეს. იგი რამდენიმე წელი ერთ-ერთ სოფელში იმალებოდა. გამოძიების ვერსიით, გენერალი პუკაჩი შსს-ს ყოფილი მეთაურის იური კრავჩენკოს დავალებით მოქმედებდა. კრავჩენკო ამჟამად გარდაცვლილია. სწორედ პუკაჩის ჩვენების წყალობით იპოვნეს გიორგი ღონღაძის თავის ქალა.

მედიაში გავრცელდა მოსაზრება, რომ ღონღაძის მკვლელობაში უკრაინის ყოფილი მეთაური ლეონიდ კუჩმა და სხვა მაღალჩინოსნები იყვნენ გარეულები. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა ოფიცერმა, ნიკოლაი მელნიჩენკომ აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც კუჩმას ხმა ისმის, რომელიც ღონღაძესთან "ანგარიშსწორების" აუცილებლობაზე საუბრობს.

გასულ კვირას, ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობასთან დაკავშირებით, უკრაინის ექს-პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართულ ძეგლებს ლაზერული სკანირება ჩაუტარდებათ

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ლაზერული სკანირება დაიწყება და თითოეული ქართული ძეგლი „საიარკის“ ელექტრონულ სივრცეში მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების გვერდით მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბანკში განთავსდება.**

უახლესი ლაზერული ტექნოლოგიები ქალაქების, ცალკეული ღირსშესანიშნავი ადგილებისა და არქიტექტურული ძეგლების შენარჩუნებისა და, შესაბამისად, პირვანდელი სახით აღდგენის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ლანდშაფტსა თუ ძეგლის ინტერიერში მოძრავი ლაზერი წამში 50 ათას წერტილს აფიქსირებს. ტრადიციული მეთოდით მოქმედი გეოდეზისტები დღეში სულ რაღაც 200 აზომვას ახორციელებენ, მაშინ როდესაც ლაზერით საათში მილიონობით აზომვაა შესაძლებელი. სკანირების შედეგად დგინდება ამა თუ იმ საგნის მასალა და ზუსტი ზომები, რაც ბუნებრივად ძეგლის კვლევისა და მისი განვითარების საუკეთესო საშუალებას იძლევა. სამგანზომილებიან ფორმატში მილიმეტრული სიზუსტით პირველად დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი დასკანირდება და, შესაბამისად, სწორედ დავითგარეჯის სავანეები მოხვდება „საიარკის“ მსოფლიო მემკვიდრეობის საინფორმაციო სისტემაში, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ ეს ძეგლები „გუგლის“ სივრცეშიც მოხვდება.

ლაზერული სკანირების მთავარი მიზანი ძეგლის ზუსტ დოკუმენტირებასა და პირვანდელი სახით შენარჩუნებას გულისხმობს, თუმცა, ამის პარალელურად, „საიარკის“ საინფორმაციო ქსელში მოხვედრა ძეგლის პოპულარიზაციას განსაზღვრავს.

2011 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარდა, რამდენიმე ათეული ძეგლის სკანირებას განახორციელებს. მსოფლიოს ძეგლთა დამცველები და თაყვანისმცემლები საქართველოს ძეგლებს „საიარკის“ საინფორმაციო ბაზასა და „გუგლის“ დედამიწის პროგრამაში უახლოეს მომავალში იხილავენ.

დავითგარეჯის გარდა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ვარძიის სამონასტრო კომპლექსსაც დაასკანერებს. ეს აუცილებელი პროცედურაა იმისთვის, რომ მასალები მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების გვერდით, „საიარკის“ ელექტრონულ სივრცეში მოხვდეს.

დავითგარეჯის სამგანზომილებიან ფორმატში დასკანირების პარალელურად, უკვე დაწყებულია დოდოს რქის მონასტრის შესწავლაც. ამ საქმეში ჩართული არიან საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და დამოუკიდებელი ექსპერტები. ისინი დავითგარეჯში დოდის რქის მონასტრის შენარჩუნებისა და გადარჩენის ერთიანი სტრატეგიის შესამუშავებლად გაერთიანდნენ.

დოდოს რქის სამონასტრო კომპლექსში ჩატარებული თვითნებური სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭოსთან შეთანხმებული დღემდე არ არის. ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა და შეაფასა არსებული ვითარება. კედლის მხატვრობის სპეციალისტებმა და არქეოლოგებმა თავად ნახეს დოდოს რქის მონასტერში ჩატარებული სამუშაოების სავალალო შედეგები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მდგომარეობის გამოსწორებისა და ძეგლის გადარჩენისთვის უკვე გეგმავს ახლო მომავალში მონასტერში კვლევითი და საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელებას. დამანგრეველი პროცესების შესაჩერებლად და შემდგომში ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ძეგლზე განსახორციელებელია მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის არქეოლოგიური სამუშაოები, კედლის მხატვრობის შესწავლა, ტერიტორიის პალინოლოგიური კვლევა და შედეგად ძეგლის კონსერვაცია. მიწის, მტვრისა და არსებული არტეფაქტების კვლევა მეცნიერებს საშუალებას მისცემს, დაადგინონ დოდოს რქის მონასტრის განვითარებისა და ყოფის სხვადასხვა ეტაპი.

გასულ კვირას დავითგარეჯის დოდო რქის მონასტერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და უძრავ ძეგლთა ატრიბუციის სამსახურმა, მონასტრის მიმართ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, კვლავ დააფიქსირა ძეგლზე ჩატარებული და მიმდინარე თვითნებური სამუშაოები, რომლებიც პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა ძეგლის განადგურებასთან.

გარდა ამისა, ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამონასტრო კომპლექსის მახლობლად სამხედრო პოლიგონი აღდგა და სწავლებები მიმდინარეობს, მათ შორის აფეთქებებიც, რაც დავითგარეჯს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

როგორც საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭოში განმარტავენ, ამის შესახებ ისინი ინფორმაციას არ ფლობენ. ასეც რომ იყოს და დავითგარეჯის მახლობლად სამხედრო პოლიგონი მართლაც ამოქმედდეს, მათი აზრით, ეს საპატრიარქოს საქმე არ არის და ნაკლებ სავარაუდოა, დოდოს რქის მონასტერში ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებული ამბავი სამხედრო პოლიგონს უკავშირდებოდეს.

დავით გარეჯში ჩასულმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ დავითგარეჯის ერთ-ერთ მონასტერში გაწმედითი სამუშაოები მართლაც არასწორად ჩატარდა. ისინი არ ამტკიცებენ, რომ ბერებმა მონასტრის კედელი საგანგებოდ დააზიანეს, მაგრამ თვითნებურად ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

მათი მტკიცებით, მიწა, რომელიც ბერებმა გამოიტანეს მონასტრიდან, ფრესკებს გარკვეულწილად იცავდა. ახლა, როდესაც მიწის ფენა მოსცილდა, გაშიშვლებულ კედლებსა და მოხატულობას მეტი საფრთხე ემუქრება. ამიტომ სპეციალისტებისა და ფინანსების სასწრაფო მოძიებაა საჭირო, რათა ფრესკების კონსერვაცია მოხერხდეს. ეს სამუშაოები ზამთრამდე უნდა ჩატარდეს. სავარაუდოდ, სამუშაოებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ჩაატარებს.

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა გარეჯის დოდო რქის მონასტერში არსებული დაზიანებები გასულ კვირას შეისწავლეს. კომპლექსში მოღვაწე ღვთისმსახურებმა ღვთისმშობლის სახელობის მიწით ამოვსებული ეკლესია და ტაძარი გაწმინდეს. სპეციალისტების განცხადებით, მსგავსი სამუშაოები უფრო ფრთხილად უნდა შესრულდეს, ვინაიდან ნაწილობრივ შემორჩენილ ფრესკებს საფრთხე ემუქრება.

დოდოს რქის მონასტერში კუსტარულად წარმოებული მიწის თხრისა და სხვადასხვა სამუშაოს შედეგად დიდწილად განადგურებულია მიწის ქვეშ, არქეოლოგიურ ფენებში არსებული ინფორმაცია. ექსპერტთა ერთობლივი მუშაობა მანამდე გაგრძელდება, ვიდრე არ შემუშავდება დავით გარეჯის დოდოს რქის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის ერთიანი სტრატეგია.

ყველა მიმდინარე სამუშაოსთან ერთად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ახალგაზრდა თაობის აქტიური ჩართვისა და ახალი კადრების მოზიდვის მიზნით სტაჟიორთა მისაღებ კონკურსს აცხადებს. კონკურსში გამარჯვებულებს საშუალება ექნებათ, სამუშაო გამოცდილება მიიღონ დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში, უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისის მარკეტინგისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში. სტაჟირების ძირითადი მიმართულებებია: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა (ძეგლების აღრიცხვა, შესწავლა, პოპულარიზაცია, მონიტორინგი, საგანმანათლებლო და ვიზიტორთა პროგრამები, ექსპოზიციების მომზადება, გიდების საქმიანობა, მარკეტინგი). საკვალიფიკაციო მოთხოვნაა ჰუმანიტარული (სასურველია კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთან დაკავშირებული) განათლება, უცხო ენის ცოდნა, კომუნიკაბელობა, საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. განცხადებების მიიღება 23 მარტიდან დაიწყო და 15 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება. კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ სტუდენტებსა და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომელთა ასაკიც 18-30 წელია. კონკურსი ჩატარდება (ზეპირი) გასაუბრების ფორმით. კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებს სტაჟიორად მიღების თაობაზე ეცნობებათ დამატებით. სტაჟირების ვადა 3 თვით არის განსაზღვრული.

# დათო მაღრაძე თურქეთში დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

პოეტ დათო მაღრაძისთვის წლევანდელი წელი ნამდვილად გამორჩეული და წარმატებულია. თურქეთში გამართულ ბურსას საერთაშორისო პოეზიის ფესტივალზე ქართველი ხელოვანი სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. მანამდე კი ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტისგან პოეტმა ოფიციალური განცხადება მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ დავით მაღრაძეს უფლება აქვს, იბრძოლოს ნობელის პრემიისთვის. ამის აღსანიშნავად მისმა მეგობრებმა რუსთაველის თეატრში პოეტის შემოქმედებითი საღამო მოაწყვეს.

ამჯერად კი დავით მაღრაძე თურქეთში გამართულ პოეზიის საერთაშორისო ფესტივალს ესტუმრა, საიდანაც ხელცარიელი არ დაბრუნებულა. სპეციალური პრიზი ქართველი პოეტის მიერ გამოცემულმა წიგნმა „სალვემ“ დაიმსახურა. ლექსების კრებული მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს და იგი უკვე ხუთ ენაზეა ნათარგმნი, მათ შორის, თურქულზეც. ფესტივალში დათო მაღრაძის მონაწილეობა სწორედ მისმა ამ ლექსების კრებულმა განაპირობა.

ბურსას საერთაშორისო პოეზიის ფესტივალი თურქეთის ქალაქ ბურსაში წელს პირველად ჩატარდა. ის 20 მარტს გაიხსნა და რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. დათო მაღრაძე საქართველოში პრიზით რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

თურქეთიდან დაბრუნებული პოეტი ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც იგი სტუდენტებს შეხვდა და მათთვის საინტერესო თემებზე ესაუბრა. შეხვედრა დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა. „დაიცავი საქართველოს“ ლიდერმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა ისეთ თემებზე, როგორებიც არის დღევანდელი ყოფა, სულიერება, სახელოვნებო სამყარო და ადამიანთა ცხოვრება. მან დაწვრილებით ისაუბრა იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ეს ყველაფერი თითოეული ადამიანის ყოფიერებაში.

ტექნიკურ უნივერსიტეტში დაგეგმილ შეხვედრაზე დავით მაღრაძემ ხელოვნების მნიშვნელობასა და ქართულ მენტალურ სივრცეში ახალგაზრდების როლზე ისაუბრა. სტუდენტებთან შეხვედრისას საუბარი შეეხო ასევე განათლების საკითხებსა და იმ აქტუალურ თემებს, რომლებიც დღევანდელი ახალგაზრდობისთვის მნიშვნელოვანია.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

## მიშელ იდალგო:
# „პელე, მარადონა, დი სტეფანო“



**ფრანგულ ფეხბურთს უდიდესი ტრადიცია და ისტორია გააჩნია. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან სამფეროვნები ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, ყველაზე დიდ წარმატებას კი გასული საუკუნის მიწურულს მიაღწიეს, როდესაც ემე ჟაკეს მეთაურობით ჯერ საკუთარ ქვეყანაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს, შემდეგ კი, როჟე ლემერის თავკაცობით - ბელგია-ჰოლანდიაში გამართული კონტინენტის პირველობა.**

ფრანგთა ნაკრების ჩავარდნა კი, გასული საუკუნის 60-70-იან წლებს უკავშირდება. გაგახსენებთ — 1966 წელს, სამფეროვნები ინგლისში შერცხვნენ, 1970 და 1974 წლების მუნდიალებმა კი, სულაც მათ გარეშე ჩაიარა. ამ ჩავარდნის შემდეგ ნაკრების მწვრთნელად მიშელ იდალგო ინიშნება, რომლის სახელთანაც სრულიად სამართლიანად ასოცირდება ფრანგული ფეხბურთის აღორძინება.

1978 წელს არგენტინაში ფრანგებს ურიგოდ არ უთამაშიათ, თუმცა, „სიკვდილის ჯგუფიდან“ გასვლა ვერ მოახერხეს (მომდევნო ეტაპზე მომავალმა ჩემპიონმა და იტალიამ გააღწიეს), 1982 წელს ესპანეთის სტადიონებზე იდალგოს შეგირდებმა შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშეს. 1984 წელს კი, საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა პირველად მოიგო ევროპის ჩემპიონატი.

ასაკოვან ქომაგებს მიშელ იდალგოს ფეხბურთელობაც ახსოვთ. ვერცხლისწყალივით მოძრავმა და ტექნიკურმა ნახევარმცველმა თამაში „ლე ავრში“ დაიწყო, საიდანაც თავი იმ დროისთვის საფრანგეთის საუკეთესო გუნდში „სტად დე რეიმსში“ ამოჰყო, რომლის ღირსებასაც 1954-57 წლებში იცავდა, შემდგომ 9 წლის განმავლობაში „მონაკოს“ ერთ-ერთ ლიდერადაც გვევლინებოდა. იდალგო ისტორიული მატჩის მონაწილეცაა. 1956 წლის 13 ივნისს, მან პარიზის „პარკ დე პრანსზე“, ჩემპიონთა თასის პირველ ფინალურ შეხვედრაში ითამაშა მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ. „სტად დე რეიმსმა“ მატჩის სადებიუტო ნაწილშივე 2 გოლი გაუტანა კასტილიელებს, თუმცა, „რეალმა“ მალევე მოახერხა წინასაფინალო სტატუს-კვოს აღდგენა. მეორე ტაიმში იდალგომ კიდევ ერთხელ დააწინაურა ფრანგები, თუმცა, პარიზულმა გუნდმა მადრიდელთა შეტევას ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო და ჩემპიონთა თასის პირველი გამარჯვებული „რეალი“ გახდა.

***— დაწვრილებით რას გვეტყოდით ჩემპიონთა თასის 1955-56 წლების გათამაშების ფინალზე.***

— ტურნირის პირველ ფინალამდე დანიის, უნგრეთისა და შოტლანდიის ჩემპიონები დავამარცხეთ. ცხადია, მადრიდის „რეალი“ მათზე უკეთესი გუნდი იყო. ჰენტოს, რიალის, დი სტეფანოს თამაში ნანახი მქონდა, მაგრამ მინდორზე მათ წინააღმდეგ თამაში ასე თუ გამიჭირდებოდა, ვერც კი წარმომედგინა. ეს მართლაც ფენომენალური საშემსრულებლო საფეხბურთო ანსამბლი იყო. თავიდან ვიგებდით, მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ დავწინაურდით, მაგრამ უნდა ვაღიარო, „რეალი“ ჩვენზე სოლიდური გუნდი გახლდათ.

***— 3:2 ანგარიში თქვენ გახადეთ. იმ მომენტში თუ გჯეროდათ, თასს რომ დაეუფლებოდით?***

— გოლის გატანით ერთი სასწაული მოვახდინე — „რეალის“ მცველებთან შედარებით, 15 სანტიმეტრით დაბალი მაინც ვიყავი, მე კი მათ საჰაერო დუელი მოვუგე და მადრიდელთა მეკარე ალონსოს თავით გავუტანე. სამწუხაროდ, მეორე სასწაული არ მოხდა — თასს საბოლოოდ მაინც „რეალი“ დაეუფლა. დი სტეფანომ იმ მატჩში ერთი გოლი გაიტანა, თუმცა, თამამად შემიძლია ვთქვა, მან მარტომ მოგვიგო. ალფრედო ნამდვილი ჯადოქარი იყო, ბოლომდე მებრძოლი და უზადო ბომბარდირი. თანაც, რა პარტნიორები უმშვენებდნენ გვერდს! გააჩერეთ ნებისმიერი გულშემატკივარი და იმდროინდელი „რეალის“ შემადგენლობას სხაპასხუპით ჩამოგითვლით.

***— დი სტეფანო „ჯადოქრად“ მოიხსენიეთ. მას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად თვლით?***

— ალფრედოს პელესა და მარადონასთან ერთად, პლანეტის უძლიერეს მოთამაშეთა რიცხვში შევიყვანდი. ტექნიკით მარადონას ვერავინ შეედრება, თუმცა, სხვადასხვა საფეხბურთო ასპექტისა და მინდორზე თავის დაჭერის გათვალისწინებით, პირველ ნომრად მაინც პელეს დავასახელებდი.

***— 1959 წელს „სტად დე რეიმსმა“ კიდევ ერთხელ მიიღო მონაწილეობა ჩემპიონთა თასის გადამწყვეტ შეხვედრაში. იმ დროს თქვენ უკვე „მონაკოში“ თამაშობდით, რაიმონ კოპა კი „ბლანკოსის“ ღირსებას იცავდა.***

— კოპას „რეალში“ გადასვლის თაობაზე კლუბებმა 1956 წლის ფინალის დასრულებისთანავე მოილაპარაკეს. არადა, ფინალში რაიმონი მინდორზე პრაქტიკულად არ ჩანდა. თუმცა, იგი საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა. ამასთან, კოპას დი სტეფანოსთან არცთუ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ალფრედოს გამო „რეალში“ რაიმონს ფლანგზე მოუწია თამაში.

***— თქვენი და კოპას წასვლის შემდეგ „სტად დე რეიმსი“ გულშემატკივართა თვალსაწიერიდან გაქრა.***

— „რეიმსი“ ორ ადამიანს ეჭირა — კოპასა და მთავარ მწვრთნელ ალბერ ბატოს. ჩვენს იმდროინდელ დამრიგებელს გასული საუკუნის საფრანგეთის საუკეთესო სპეციალისტად მივიჩნევ. არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც საფეხბურთო ნიუანსებში ასე კარგად ყოფილიყოს გათვითცნობიერებული.

***— 9 სეზონის განმავლობაში „მონაკოში“ გამოდიოდით. გრიმალდების სამეფო ოჯახს თუ დაუახლოვდით?***

— გუნდში თამაშის პარალელურად ალბერისა და კაროლინას სპორტული აღზრდითაც გახლდით დაკავებული. ალბერმა თავიდან ბობსლეი აირჩია, მაგრამ კაროლინა ამ სახეობას ვერ იტანდა. დედოფალ გრეისთან ერთად ფეხბურთს ვთამაშობდი, ოღონდ სამაგიდო ვარიანტს. გრიმალდების სამეფო ოჯახის ნებისმიერი წევრი კარგი ადამიანი გახლდათ.

***— საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელთაგან ერთ-ერთ წარმატებულ დამრიგებლად ითვლებით. 1982 წელს მუნდიალის ფინალამდე ერთი ნაბიჯიღა დაგაკლდათ.***

— წესითა და რიგით, სევილიაში გერმანელები უნდა დაგვემარცხებინა. მსაჯი მოწინააღმდეგის მხარეს იყო. გაიხსენეთ, როგორი მძიმე ტრავმა მიაყენა ჰარალდ შუმახერმა პატრიკ ბატისტონს. როდესაც იგი მინდვრიდან საკაცეთი გაჰყავდათ, გრძნობა დაკარგული ჰქონდა. თქვენ წარმოიდგინეთ, არბიტრს შუმახერი არც კი დაუჯარიმებია.

***— სამაგიეროდ, ევროპის პირველობაზე გაგიღიმათ ბედმა და კონტინენტის ჩემპიონები გახდით.***

— სევილიას „სანჩეს პისხუანზე“ განცდილი ფიასკოს შემდეგ მეც და ბიჭებსაც ფეხბურთისთვის თავის განებება გვინდოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ზრახვა თავიდან ამოვიგდეთ. ევროპის ჩემპიონატი ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა და მშვენიერი შესაძლებობა მოგვეცა „სევილიური კოშმარის“ დასავიწყებლად. დრამატული გამოდგა პორტუგალიასთან ჩატარებული ნახევარფინალი. დასავლეთპირენეელებს მხოლოდ დამატებით დროში, მატჩისშემდეგომი პენალტების სერიის დანიშვნამდე წუთნახევრით ადრე მოვუგეთ. ფინალში კი მედგარ წინააღმდეგობას წავაწყდით ესპანელთა ნაკრებისგან. რომ არა მიშელ პლატინის ფენომენალური თამაში, კონტინენტის საუკეთესო ნაკრების ტიტულის მოპოვება უკიდურესად გაგვიჭირდებოდა.

***— რით ახსნით საფრანგეთის ნაკრების წარუმატებელ გამოსვლას სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე?***

— რაიმონ დომენეკის გუნდმა მწყობრი თამაშის ჩვენება ვერ მოახერხა. აშკარად იგრძნობოდა მოძრაობის ნაკლებობა, ამასთან ფეხბურთელებს თამაშის სურვილსა და ჟინს ვერ ვატყობდი. ძირითად პასუხისმგებლობას კი რაიმონ დომენეკს ვაკისრებ. სწორედ მან შეარჩია ერთპიროვნულად სამუნდიალო განაცხადი და ტაქტიკური მონახაზი...

***— ესპანელთა ბოლოდროინდელ წარმატებებს უპირველესად რით ახსნით?***

— ესპანეთი უდიდესი საფეხბურთო ქვეყანაა. მათ უამრავი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავდათ. ამის მიუხედავად, პირინელთა ნაკრებს ტიტულები აკლდა. მეოცე საუკუნეში მათ მხოლოდ ერთხელ, 1964 წელს მოახერხეს ევროპის პირველობის მოგება. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სამწვრთნელო შტაბი და საფეხბურთო ფედერაცია შეხმატკბილებულად არ მუშაობდნენ. ბოლო წლებში საპირისპირო ვითარებაა. თუნდაც ის ფაქტი ავიღოთ, ვისენტე დელ ბოსკე და ფედერაციის მენეჯერი, ფერნანდო იერო ახლობელი ადამიანები რომ არიან. ლუის არაგონესის წასვლის შემდეგ, სწორედ იეროს რეკომენდაციით დაინიშნა „ფურია როხას“ მთავარ მწვრთნელად მადრიდის „რეალის“ ყოფილი დამრიგებელი.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| გვატემალა-ბოლივია | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები(21)**

| | |
|---|---|
| ხორვატია-უნგრეთი | 3:2 |
| დანია-უკრაინა | 2:2 |
| სლოვაკეთი-ფინეთი | 0:0 |
| ბელგია-საბერძნეთი | 0:1 |
| ესპანეთი-ბელარუსი | 1:1 |
| ინგლისი-ისლანდია | 1:2 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ბოსტონი | 107:100 |
| შარლოტი-მილუოკი | 87:86 |
| ნიუ იორკი-ორლანდო | 113:106(ოტ) |
| ჩიკაგო-ფილადელფია | 85:97 |
| სან ანტონიო-პორტლენდი | 92:100 |
| იუტა-ვაშინგტონი | 95:100(ოტ) |

### ჩოგბურთი

**ატპ. მაიამი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-ბერლოკი | 7:6;7:5 |
| ტიპსარევიჩი-პეტშნერი | 6:3;6:3 |
| იუჟნი-როხუსი ო. | 6:1;3:6;3:6 |
| ალმაგრო-მაიერი | 1:6;6:3;1:6 |
| ფედერერი-მონაკო | 7:6;6:4 |
| ნადალი-ლოპესი | 6:3;6:3 |
| სიმონი-კუევასი | 4:6;6:1;6:2 |

**ვტა. მაიამი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| პენგი-დულჟერუ | 3:6;4:6 |
| შარაპოვა-სტოსური | 6:4;6:1 |
| ვოზნიაცკი-პეტკოვიჩი | 5:7;6:3;3:6 |
| იანკოვიჩი-მედინა გარიგესი | 6:1;6:3 |
| ზვონარევა-ბარტოლი | 2:6;6:3;6:2 |
| რადვანსკა ა.-სკიავონე | 6:0;6:2 |
| აზარენკო-პავლუჩენკოვა | 3:6;6:1;6:4 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| დეტროიტი-ჩიკაგო | 2:3(ოტ) |
| ანაჰაიმი-კოლორადო | 5:4 |

# დიდი დღე წყალბურთელებსაც ელით

დღეს საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები საცურაო აუზ „ოლიმპიკში“ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგ მატჩში საბერძნეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. თამაში „ოლიმპიკში“ 21 საათზე დაიწყება. ზვიად დავითიანის გუნდი ევროპირველობის შესარჩევ ეტაპზე შემოდგომით ჩაება. ქართველები შესარჩევ ჯგუფში ბრიტანელებთან და ბერძნებთან ერთად მოხვდნენ და პირველი ტურის მატჩში „ოლიმპიკის“ აუზში, ბრიტანელებს 9:3 მოუგეს, ბერძნებმა კი მანჩესტერში სძლიეს ინგლისელებს 11:2.

საქართველოს ნაკრების მეტოქე მსოფლიო წყალბურთის ელიტის წარმომადგენელია. 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ელადელებმა ბრინჯაოსთვის ბრძოლა რუსებთან დათმეს და მე-4 ადგილს დასჯერდნენ, 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში კი ერთი ადგილით მაღლა აინაცვლეს.

2002 წელს საბერძნეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს პირველობა მოიგო, შარშან შტუტგარტში 1993 წელს დაბადებულთა ევროპის პირველობაზე ბერძნებმა მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმეს და II ადგილზე გავიდნენ. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავს.

**საქართველოს ნაკრები:** ზურაბ ჭუმბურიძე (ლიგამუსი), გალაქტიონ ლაითაძე (თბილისი), მარკო ელაჩა (რიეკას პრიმორიცა, ხორვატია), იოვან პოპოვიჩი (ლიგამუსი), მარკო კორდიჩი (ლიგამუსი), გიორგი ხვედელიანი (ლიგამუსი), რევაზ ჩომახიძე (ლიგამუსი), მიხეილ ბაღათურია (თბილისი), ზურაბ რურუა (ლიგამუსი), კონსტანტინე გეგელაშვილი (ლიგამუსი), ტატო ნიკოლეიშვილი (ლიგამუსი), მარკო ელეზი (ბრეშია, იტალია), ალექსანდრე ნამორაძე (თბილისი)

**საბერძნეთის ნაკრები:** ფილიპოს კარამპეტსოსი (პანათინაიკოსი), ემანუილ მილონაკისი (ოლიმპიაკოსი), არტინ ელმისიანი (ვოულიაგმენი), ანდრეას მირალისი (პანიონიოსი), ევანგელოს-იოანის დელაკასი (ოლიმპიაკოსი),არგირის ტეოდოროპოულოსი (ოლიმპიაკოსი), ხრისტოს ასროდაკისი (ოლიმპიაკოსი), გეორგიოს ტიკასი (ოლიმპიაკოსი), კონსტანტინოს მოურიკისი (პანიონიოსი), იოანის ფოუნტოულისი (ოლიმპიაკოსი), ავრაამ ალიჩანდისი (ლარისა), მატეოს ვოუგარაკისი (ვოულიაგმენი), სტილიანოს პროტონოტარიოსი (ვოულიაგმენი).

# „დინამოში“ დინამოელები ბრუნდებიან

ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში სანაკრებო თემა მძლავრობს, ამიტომაც ეროვნული ჩემპიონატი გარკვეულწილად ჩრდილში მოექცა. თუმცა, თბილისის „დინამოში“ არცთუ უმნიშვნელო მოვლენა მოხდა — კლუბის სპორტულ დირექტორად გიორგი ნემსაძე დაინიშნა.

ნემსაძემ 17 წლის ასაკში დაიწყო „დინამოში“ თამაში და დებიუტი ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჰქონდა. მერე იყო ეროვნული ჩემპიონატი და უამრავი ტიტული „დინამოსთან“ ერთად, დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და არანაკლებ შთამბეჭდავი უცხოური კარიერაც (გერმანიის „ჰომბურგი“, თურქული „ტრაბზონსპორი“, იტალიური „რეჯინა“, შვეიცარიული „გრასჰოპერსი“, შოტლანდიური „დანდი“). „ნემსო“ 32 წლის ასაკში ისევ დაბრუნდა „დინამოში“ და ახალგაზრდა თანაგუნდელებთან ერთად ჯერ საქართველოს თასი მოიპოვა, მერე ლომის წილი შეიტანა „დინამოს“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაში, კარიერა კი საქართველოს ჩემპიონის რანგში დაამთავრა.

„დინამოს“ გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი, ახლა უკვე სპორტული დირექტორი გიორგი ნემსაძე და გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა „დინამოს“ ფეხბურთელებს შეხვდნენ.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:**

— გიორგი ნემსაძე, თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების კაპიტანი, ნამდვილი დინამოელია. გიორგი ჩვენი გუნდის ფეხბურთელებისათვის მაგალითია. იგი დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდა ევროპულ გუნდებში, გააჩნია კონკრეტული მიმართულებები და ხედვა, თუ როგორ უნდა აეწყოს თანამედროვე დონის ევროპული გუნდი.

**გიორგი ნემსაძე:**

— პრაქტიკულად მთელი ცხოვრება „დინამოში“ გავატარე და თავი ყოველთვის ამ ოჯახის წევრად მიმაჩნდა. ჩემი დიდი სურვილია, რომ ის გამოცდილება, რომელიც უცხოეთში მივიღე, ჩემს მშობლიურ გუნდს გამოადგეს. საჭიროა ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საქმიანობა. იმედია, ეს მცდელობა ჩვენი საყვარელი გუნდის შედეგებზეც აისახება.

# „მომავლის საქართველოს“ მეორე გამარჯვება

ინგლისურ ტურნეზე მყოფმა „მომავლის საქართველოდ“ წოდებულმა საქართველოს სარაგბო ნაკრებმა, ბრიტანული არმიის გუნდის ძლევის (30:17) შემდეგ კარგი დღე არც ოქსფორდის უნივერსიტეტის ნაკრებს დააწია და მეტოქე 38:13 გაანადგურა.

შეგახსენებთ, რომ ინგლისში შეკრებაზე საქართველოს ა ნაკრები უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ლევან მაისაშვილმა ყველა სასურველი მორაგბის გამოძახება ვერ მოახერხა. ნაწილი ფრანგულმა კლუბებმა არ გაათავისუფლეს, ნაწილი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად, თბილისში გასამართი მსოფლიო თასის „ალაფისთვის“ ემზადება და ამიტომ ბრიტანეთში ქვეყნის მესამე გუნდი გაემგზავრა.

მიუხედავად ამისა, „ბორჯღალოსნებს“ საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ არც ერთ მატჩში არ დაუყენებიათ. წლეულს მარცხის გარეშე მოასპარეზე არმიელებს თამაშის ხალისი პირველივე ტაიმის (20:0) შემდეგ დააკარგვინეს, ოქსფორდელ სტუდენტებს კი კიდევ უფრო მწარედ გაუსწორდნენ.

# ბრაზილიელმა მეკარემ კარიერაში მეასე გოლი გაიტანა

ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე შედეგიანმა მეკარემ როჟერიო სენიმ თავის კარიერაში მეასე გოლი გაიტანა. გოლკიპერმა, რომელიც ბრაზილიის „სანპაოლოში“ გამოდის თავი შტატ სანპაულუს ჩემპიონატის მატჩში „კორინთიანსთან“ გამოიჩინა. სენიმ გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მისმა გუნდმა კი 2:1 მოიგო.

სენიმ მეტოქის კარი შეხვედრის 54-ე წუთზე აიღო როდესაც ანგარიში 1:0 იყო „სანპაოლოს“ სასარგებლოდ. გოლკიპერმა ბურთი ცოცხალ კედელს გადაატარა და კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში გაგზავნა.

ფიფა-ს ოფიციალური მონაცემებით, მეკარის ანგარიშზე 98 გოლია, თუმცა სენი არაოფიციალურ ამხანაგურ მატჩებში გატანილ 2 გოლსაც თვლის. 56 გოლი სენიმ საჯარიმო დარტყმიდან გაიტანა, დანარჩენი გოლები კი თერთმეტმეტრიანებიდან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# იაპონელმა მშენებლებმა დასავლეთი გააოცეს

იაპონელმა მშენებლებმა მიწისძვრით დანგრეული ობიექტების აღდგენის სისწრაფით დასავლეთის მედიის გაოგნება გამოიწვიეს. 11 მარტის მიწისძვრის შედეგად დანგრეული გზის 150-მეტრიანი მონაკვეთი რამდენიმე დღის შემდეგ გზა უკვე აღდგენილი იყო.

იმავდროულად, ინტერნეტ-ბლოგერების ერთმა ნაწილმა ფოტოების ნამდვილობით დაეჭვება მათ ფოტოებზე განსხვავებულ პეიზაჟებზე მიუ-



თითეს და ისიც ივარაუდეს, რომ მეორე ფოტო მიწისძვრამდე დიდი ხნით ადრე შეიძლება ყოფილიყო გადაღებული.

კომპანია „ნექსკომ“ ექვსი დღის განმავლობაში აღადგინა.

სააგენტო „ესოშიეიტედ პრესმა“ ინტერნეტის საშუალებით ფუკუსიმას პრეფექტურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე საავტომობილო გზის ფოტოები გამოაქვეყნა. პირველ ფოტოზე მიწისძვრის მეორე დღეს დაზიანებული გზაა აღბეჭდილი, მეორეზე — გზის იგივე მონაკვეთი რამდენიმე დღის შემდეგ.

ფოტოების მიხედვით,

სხვადასხვა მოსაზრების თანახმად, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად იაპონიას ხუთი წელი დასჭირდება. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად მიყენებულმა ზარალმა 325 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს თანხა ქვეყნის ერთიანი შიდა პროდუქტის 4%-ს შეადგენს.

# ადამიანი-ობობა ბურჯ ხალიფაზე აცოცდა

ადამიანი-ობობას მეტსახელით ცნობილმა ფრანგმა ალენ რობერმა ამჯერად მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა, დუბაიში მდებარე ბურჯ ხალიფას კოშკი დალაშქრა.

828 მეტრი სიმაღლის შენობაზე ასასვლელად რობერს ექვსი საათი დასჭირდა. 48 წლის ფრანგმა ალპინისტური აღჭურვილობის გამოყენებით შენობაზე ასვლა ორშაბათს, საღამოს 6 საათზე დაიწყო. ცათამბჯენთან სეირის მოყვარულების დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი. მალე ჩამობნელდა, მაგრამ რობერი პროჟექტორებით გაანათეს.

როგორც წესი, ალენ რობერი შენობებზე ასვლის დროს ალპინისტურ აღჭურვილობას არ იყენებს, მაგრამ ამჯერად, დუბაის ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით, გარდა აპლინისტური თოკებისა, სპეციალურ დამჭერებსაც იყენებდა.

„მესმის მათი, — განაცხადა ფრანგმა სპორტსმენმა რეიტერის ინტერვიუში, — მათთვის ეს შენობა სიმბოლოა, ამიტომ ჩემს ძვირფას სიცოცხლეზე ზრუნით ისინი საკუთარ ძვირფას „ბურჯ ხალიფაზე“ ზრუნავენ“.

თვითმხილველების თქმით, ადამიანი-ობობა ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად გამოეყენებინა თოკები. შენობის სახურავზე ასვლის შემდეგ მან ქვემოთ თავმოყრილ ადამიანებს ხელი დაუქნია.

თავისი უჩვეულო კარიერის განმავლობაში ალან რობერმა 70-ზე მეტი მაღლივი შენობა დალაშქრა, მათ შორის „პეტრონას თაუერსი“ — კუალა ლუმპურში, „ფედერაცია“ — მოსკოვში, „ემფაია სთეით ბილდინგი“ — ნიუ იორკში.

2003 წელს ადამიანი-ობობა ეიფელის კოშკზე აცოცდა, 2004 წელს ტაივანში — „ტაიბეი 101“-ზე, რომელიც იმ დროისათვის მსოფლიოს ყველაზე მაღალ შენობად ითვლებოდა.

რობერის მრავალი ზეასვლა დაპატიმრებით დასრულდა, რადგან იგი, ჩვეულებრივ, ხელისუფლებისაგან ნებართვას არ თხოულობდა.

## რამდენად გამბედავი ხართ




***1. შეგიძლიათ თუ არა, დატოვოთ მუდმივი, მაგრამ მცირე ანაზღაურების სამსახური მოკლევადიანი, მაგრამ სარფიანი კონტრაქტისთვის?***

ა) რა თქმა უნდა (1); ბ) ხელფასს გააჩნია (2); გ) არა (3).

***2. როგორ მოიქცევით, თუ წინ შავმა კატამ გადაგირბინათ?***

ა) ნიშნების არ მწამს (1); ბ) მალულად გადავაფურთხებ მარცხენა მხარეს და გზას გავაგრძელებ (2); გ) სხვა გზას ავირჩევ (3).

***3. როგორ რეაგირებთ შეურაცხყოფაზე?***

ა) საკუთარ თავში ვიკეტები (3); ბ) ახსნა-განმარტებას მოვითხოვ (1); გ) წყენას სხვებს ვუზიარებ და თანაგრძნობას ველი (2).

***4. დღესასწაული ოჯახურ წრეში არის:***

ა) უკეთესის არქონისას მისაღები ვარიანტი (3); ბ) მშვიდად დასვენების შესანიშნავი შესაძლებლობა (2); გ) ახლობლებთან ურთიერთობის საშუალება (1).

***5. რა რეაქციას იწვევს თქვენში საშინელებათა ფილმი?***

ა) მსიამოვნებს (1); ბ) სხვა ჟანრს ვამჯობინებ (2); გ) საერთოდ არ ვუყურებ, რადგან მეშინია (3).

***6. როგორი დამოკიდებულება გაქვთ უფროსობასთან?***

ა) გულგრილი (2); ბ) უარყოფითი (1); გ) დადებითი (3).

***7. პირველი სიყვარულის გახსენება:***

ა) სულს გითბობთ (2); ბ) ძლიერ გრძნობას არ იწვევს (1); გ) სინანულს იწვევს (3).

**პასუხები**

**7-12 ქულა:** გაბედული ადამიანი ხართ, არ გეშინიათ პრობლემების და ყოველთვის იცავთ თქვენს ინტერესებსა და უფლებებს. ამიტომ ზოგჯერ ზედმეტად სწორხაზოვანსა და სქელკანიანს გიწოდებენ.

**13-17 ქულა:** მოკრძალებული მოთხოვნილებების მქონე, მშვიდი ადამიანი ბრძანდებით. იცით საკუთარი თავისა და სხვების ფასი, პრობლემებს მშვიდად ხვდებით და თქვენი გალიზიანება ძალიან ძნელია.

**18-21 ქულა:** ძალიან მწვავედ განიცდით წარუმატებლობასა და მარცხს, ამიტომაც თითქმის ვერასდროს ახერხებთ მათი გადალახვისათვის საკმარისი ძალების მოკრებას.

**გ.თ.**

# იაპონიაში ატომური რეაქტორის მეზობლად პლუტონიუმი აღმოაჩინეს

იაპონიის ხელისუფლების განცხადებით, ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ერთ-ერთი ენერგობლოკის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილია წყალი ძლიერი რადიოაქტიური დაბინძურებით, რაც გარემოს დაბინძურების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

გარდა ამისა, ატომური ელექტროსადგურის მახლობლად ნიადაგში აღმოჩენილია რადიოაქტიური ნივთიერება პლუტონიუმი, თუმცა, ხელისუფლების თქმით, მისი კონცენტრაცია ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

რადიოაქტიური ნივთიერების გაჟონვის მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ხელისუფლები ორ ვერსიაზე მუშაობენ. ერთი გულისხმობს რეაქტორის დამცავი გარსის დაზიანებას, მეორე — ბირთვული საწვავის გამდნარი ღეროების ზემოქმედებას წყალზე, რომელსაც მათ გასაგრილებლად იყენებენ.

მეორე რეაქტორზე არსებული ვითარების არასწორად შეფასებისათვის ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანია „ტოკიო ელექტრიქ ფაუერ ქომფანი“ კრიტიკის ობიექტი გახდა.

თავდაპირველად კომპანია „ტეპკოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რადიაციის დონე დასაშვებს 10 მილიონჯერ აღემატებოდა. მოგვიანებით რიცხვები დააზუსტეს და განაცხადეს, რომ რადიაცია ნორმასთან შედარებით 100 ათასჯერ მეტი იყო.

მიმომხილველების თქმით, ძლიერი რადიოაქტიური ნარჩენებით დაბინძურებული წყლის გარემოში მოხვედრა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

დღემდე ასეთი წყალი ატომური რეაქტორების სათავსოების ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი არ ყოფილა.



Reuters

როგორც იაპონელმა ოფიციალურმა პირებმა განმარტეს, ეს წყალი მიწისქვეშა სამუშაო გვირაბში ნახეს, რომელიც რეაქტორის ქვეშ გადის და ზღვას ნაპირიდან 50 მეტრის დაშორებით უერთდება.

წყლის რადიოაქტიურობის დონე საათში 11000 მილიზივერტს აღემატება, რასაც სხივური დაავადების მსუბუქი ფორმის გამოწვევა შეუძლია.

კომპანია „ტეპკოს“ წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაბინძურებული წყალი ზღვაში არ ჩაედინება, ხოლო რაც შეეხება პლუტონიუმს, ეს რადიოაქტიური ნივთიერება რეაქტორის ფარგლებს გარეთ ხუთ ადგილას აღმოაჩინეს, მაგრამ მისი კონცენტრაცია ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

პლუტონიუმს საწვავ ღეროებში დანამატის სახით მხოლოდ მესამე რეაქტორზე იყენებდნენ.

იაპონიის ხელისუფლებმა ფუკუსიმას ატომური რეაქტორის ოპერატორი კომპანია რადიოაქტიურობის დონის არასწორად შეფასებისა და ხელისუფლებისათვის არასრული ინფორმაციის მიწოდების გამო მკაცრად გააკრიტიკეს.

ტეპკოს წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ სპეციალისტმა, რომელმაც მეორე რეაქტორის გაგრილების სისტემაში რადიოაქტიურობა გაზომა, მიღებული შედეგების განმეორებითი გაზომვით დადასტურება ვერ შეძლო, როგორც ეს ინსტრუქციით არის გათვალისწინებული. პირველმა გაზომვამ გამოსხივების იმდენად მაღალი დონე აჩვენა, რომ იგი იძულებული გახდა, ობიექტი დაეტოვებინა.

ტეპკოს მიერ კვირას მიღებული ინფორმაცია რომ დადასტურებულიყო, იგი მეორე რეაქტორზე მომუშავე ლიკვიდატორების მიერ წლიურ ნორმასთან შედარებით ოთხჯერ მეტი გამოსხივების მიღების ტოლფასი იქნებოდა.

გასულ კვირას რადიოაქტიური წყლის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ორი მუშა სათავსოში მოათავსეს. წყალმა მათ ფეხსაცმელში გაჟონა, რომელიც, როგორც გაირკვა, რადიაციული უსაფრთხოების ნორმებს არ აკმაყოფილებდა. მათ ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე არ ემუქრება.

ატომური რეაქტორების გადარჩენისა და მათი გაგრილების სისტემის აღდგენის გარდა, იაპონიის ხელისუფლების წინაშე კიდევ მრავალი პრობლემა დგას.

მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად, რომელიც ქვეყანას ორი კვირის წინ დაატყდა თავს, 11 ათასამდე ადამიანი დაღუპულად გამოცხადდა, 17 ათასი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, დაახლოებით 190 ათასი უსახლკაროდ დარჩა და დროებით თავშესაფრებში ცხოვრობს.

საპორტო ქალაქ რკუზენტაკატაში, რომელიც ცუნამის ტალღამ მთლიანად გადარეცხა, ათასზე მეტი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, მაგრამ ხელისუფლებს ჯერჯერობით მხოლოდ 150 დროებითი სახლი გააჩნიათ.

ჰუმანიტარულ და აღდგენით სამუშაოებსა და ტვირთების გადატანაში იაპონიის თავდაცვის ძალებს 20 ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ეხმარება, რაც იაპონიაში აშშ-ის უდიდეს ჰუმანიტარულ მისიას წარმოადგენს.

გარდა სურსათის, წყლისა და საწვავის უკმარისობისა, იაპონიის მოსახლეობას განმეორებითი ბიძგების საფრთხეც ემუქრება.

ორშაბათს ქვეყნის ჩრდილოეთ სანაპიროსთან 6.5-ბალიანი მიწისძვრის შემდეგ განმეორებითი ცუნამის საფრთხე შეიქმნა, მაგრამ მოგვიანებით ცუნამის გაფრთხილება გაუქმდა.

ქვეყნის ხელისუფლებმა სტიქიური უბედურების შემდეგ უცხოელ ექიმებს იაპონიაში ჩასვლისა და დაზარალებულებისათვის დახმარების აღმოჩენის ნება პირველად დართეს.

ჯანდაცვის სამინისტრომ უცხოელი მედიკოსების სამედიცინო საქმიანობის აკრძალვა მოხსნა და ისრაელის 53 ექიმისა და მედდისაგან შემდგარ ჯგუფის წევრებზე სამუშაო ვიზები გასცა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# პენტაგონმა ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცების ქმედების გამო ბოდიში მოიხადა

აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობამ დაღუპული ავღანელი მოქალაქეების გვერდით გადაღებული ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში.



AFP

პენტაგონის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკული ჟურნალის „როლინგ სთოუნის“ მიერ გამოქვეყნებული ფოტოები საშინელია და აშშ-ის არმიის ფასეულობებს ეწინააღმდეგება.

ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ფოტოზე მოღიმარ ამერიკელ ჯარისკაცს ცერა თითი აქვს აყინჩული და მოკლული ავღანელის თავს ობიექტივისაკენ აბრუნებს.

„როლინგ სთოუნის“ თანახმად, არსებობს ათასობით ამ სახის ფოტო, რომლებიც ავღანეთში ერთ-ერთი ამერიკული ქვეგანაყოფის საქმიანობის გამოძიების შედეგად გამოვლინდა. ამ ქვეგანაყოფის სამხედრო მოსამსახურებს მშვიდობიანი მოსახლეობის „გასართობად“ დახოცვაში ადანაშაულებენ.

როგორც ჟურნალის რედაქტორმა ერიკ ბეითსმა განაცხადა, მისმა ჟურნალმა დაახლოებით 150 ფოტო მიიღო, რომელთაგან 17 თავის საიტზე გამოაქვეყნა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ეს ფოტოები აშშ-ის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის ჯარისკაცმა ავღანეთში 2010 წელს გადაიღო.

ამჟამად აშშ-ში ამ სკანდალში გარეული პირების ტრიბუნალი მიმდინარეობს. უკვე გამოტანილია ერთი ვერდიქტი. ჯერემი მორლოკს უიარაღო ავღანელების დახოცვისათვის 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

„ჩვენ ერთი გეგმა გვქონდა — უნდა მოგვეკლა“, — თქვა მან სასამართლოში.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 6. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 7. აეროპორტი სტოკჰოლმში; 11. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 13. შტატი აშშ-ში; 14. ბუდისტთა მღვდელი იაპონიასა და ჩინეთში; 15. ბატონის, მემამულის ქონების მმართველი ძველად; 16. პურეული მცენარე; 17. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 19. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 20. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი.

**თარაზულად:** 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 4. მოძრავი სცენა თეატრში; 8. მემკვიდრეობითი ტიტული ბრიტანეთში; 9. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 10. ტბა სომხეთში; 12. მსხვილი და მოკლე სოსისი; 14. ირლანდიურ როკ-ჯგუფ „იუთუს“ ლიდერი; 15. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 16. მტრედის ბარტყი; 18. ღვინის დანალექი; 21. მდინარე ევროპაში; 22. რაიონული ცენტრი სვანეთში; 23. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გალო; 2. აჟანი; 3. ცეისი; 5. „საბენა“; 6. ჯაბახანა; 9. ციმაკურიძე; 10. „ფიუმიჩინო“; 11. „ნოვარტისი“; 14. სპა; 16. ოსტანი; 18. იგლუ.

**თარაზულად:** 1. გუთანი; 4. „ფასკუნჯი“; 7. თაგორი; 8. სინთეზი; 12. ომარი; 13. ასტანა; 15. ემისია; 17. ბრა; 19. კრიპტოგრამა; 20. ზესხო; 21. მუჟუჟი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჭყვიში; 2. დახლი; 3. კუჭი; 5. ჭორფლი; 6. გრაფი; 7. ნოვაცია; 11. „მონიკა“; 13. კრიზისი; 14. ატილა; 16. ორაგული; 17. „კოდაკი“; 19. იასპი; 20. საბო.

**თარაზულად:** 1. ჭადრაკი; 4. ჭენჭი; 8. ჭაობი; 9. „რომა“; 10. ისლამი; 12. მარსელი; 14. „ალია“; 15. ქარაშოტი; 16. ოპიზა; 18. ნავთი; 21. დანია; 22. ლომბერი; 23. პიკნიკი.

# „გაყინავს“ თუ არა ხელისუფლება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტს

გერა მამულაშვილი

**„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები აპრილში იქნება მიღებული. კანონი ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს საქართველოს ელექტრონულ მასმედიის საშუალებებში (ტელევიზიასა და რადიოში წილის ფლობას უკრ ალავს. ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული კანონის მიღება ევროპული ფასეულობებისკენ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.**



— „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესწორებების პროექტი, რომელიც ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს ტელე და რადიოკომპანიებში მცირე საკუთრების ქონასაც უკრძალავს, ორი თუ სამი კვირის შემდეგ იქნება მიღებული, — აცხადებს პარლამენტში ქრისტიან-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ლევან ვეფხვაძე. შესწორებების შემმუშავებელი საინიციატივო ჯგუფის მონაწილეები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ შეთანხმებების ვადები დარღვეულია.

— ამ დროისთვის კანონპროექტთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს. გარდა ამისა, მასმედიის საშუალებების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული რიგი საკანონმდებლო ინიციატივები, საერთაშორისო ორგანიზაციებში ექსპერტიზაზე იმყოფებიან. ექსპერტები შესწორებათა პაკეტის ორ ვარიანტს განიხილავენ: პირველი, კანონმდებლობის კომიტეტის მიერ იქნა შეტანილი, ხოლო მეორე, რომელიც ქართველი ჟურნალისტების და ექსპერტების საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა, პარლამენტში ჩვენმა ფრაქციამ შეიტანა, — აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

ვეფხვაძის განცხადება მოჰყვა ჟურნალისტური ეთიკის კომისიის წევრთა მიმართვას პარლამენტისადმი თხოვნით, რომ დაეჩქარებინათ შესწორებების მიღება „მაუწყებლობის“ კანონში.

ქარტიის წევრების განცხადება 21 მარტს გაკეთდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო მოსმენების გამო, კვირის მანძილზე სამუშაო შეხვედრებიც კი არ ჩატარდებოდა, შესწორებების მიღებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ კანონპროექტი, რომელიც მასმედიის ფართო გამჭვირვალობას ითვალისწინებს, პირველი მოსმენით ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში მიიღეს. ახალი კანონპროექტის თანახმად, ოფშორებში რეგისტრირებულ კომპანიებს უფლება ეძლევათ, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ მასმედიის საშუალებაში არაუმეტეს ათ პროცენტს ფლობდნენ.

კანონმდებლების აზრით, ამ წინადადებას სიცხადე უნდა შეეტანა, თუ ვინ არის ამა თუ იმ მასმედიის საშუალების მესაკუთრე. თუმცა ქრისტიან-დემოკრატების ფრაქციამ ეს კანონპროექტი გააპროტესტა და საკუთარი ვარიანტი წარმოადგინა, რომელიც ოფშორულ კომპანიებს მთლიანად უკრძალავს მასმედიის საშუალებების ფლობას.

გარდა ამისა, საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც მასმედიის წარმომადგენლები და უფლებადამცველები შედიან, შეიტანა წინადადებები, რომლებიც მასმედიის საშუალებების ბიუჯეტის სრულ გამჭვირვალობას და საჯარო ინფორმაციისადმი ჟურნალისტების ფართო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

— საპარლამენტო უმრავლესობამ ჩვენი წინადადებები სამ პაკეტზე გაანაწილა: ერთი ეხებოდა ელექტრონული მასმედიის საშუალებების საკუთრების ფორმას, მეორე — გამჭვირვალობას, მესამე — საჯარო ინფორმაციისადმი ჟურნალისტების ხელმისაწვდომობას.

პირველმა პაკეტმა „აირექსის“ ფონდში სრული საექსპერტო შეფასება გაიარა. შეფასებათა შედეგების მიხედვით, საერთაშორისო პრაქტიკას უფრო შეესაბამება კანონპროექტი, რომელიც ქრისტიან-დემოკრატებმა შეიტანეს და რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ოფშორულ კომპანიებს საკუთრების უფლებას უკრძალავს. პროექტების დაწვრილებითი შეფასება წარმოადგინა მასმედიის დარგში ექსპერტმა ბარბარა ჩვონმა ვაშინგტონიდან კონფერენციაზე, რომელიც დეპუტატების მონაწილეობით სამ თებერვალს ჩატარდა, — აცხადებს ვეფხვაძე.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა კონფერენციის დროს განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მზად არის მიიღოს შესწორებები, რომლებიც ექსპერტთა საინიციატივო ჯგუფმა წარმოადგინა.

— ვფიქრობ, რომ უკვე მომზადებული შესწორებების პროექტი საგაზაფხულო სესიაზე იქნება მიღებული. მუშაობა მაქსიმუმ მიმდინარე წლის მარტის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს, — განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

კომიტეტში მოსმენების შემდეგ გადაწყვეტილი იქნა, რომ კანონპროექტი მეორე მოსმენაზე 12 მარტს იქნება გამოტანილი. თუმცა ეს მაინც არ მოხდა. როგორც პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, კანონმა დამატებითი სამუშაოები მოითხოვა, რადგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ტექსტისგან, რომელიც პირველი მოსმენით იქნა მიღებული.

— ჩვენ შევთანხმდით ყველა ფორმულირებაზე, რომელიც მფლობელის ვინაობის საჯაროობას და მედიაკომპანიის გამჭვირვალობას შეეხება. რადგან ესენი ახალი ფორმულირებებია, მათი შესაბამისი პროფილის კომიტეტზე თავიდან განხილვის აუცილებლობა შეიქმნა. ეს ყველაფერი შემდეგ კვირაში მოხდება და საბოლოო ფორმულირებები პლენარულ სხდომაზე იქნება გამოტანილი, — აცხადებს კუბლაშვილი რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში.

სად არის გარანტია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მოსმენას კიდევ ერთი ან ორი კვირით გადაიტანს და სულაც „გაყინავს“ ამ კანონპროექტს?

ახალ ტექსტზე მუშაობა გაიწელა და გასულ კვირაში გაირკვა, რომ კანონის მიღება თვის ბოლომდე არ მოხდება. საინიციატივო ჯგუფის წევრმა, გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის მოადგილემ ელისო ჩაფიძემ შეშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმების ვადები დარღვეულია.

— ერთი მხრივ ლევან ვეფხვაძის განცხადებაა, რომ კანონპროექტის მეორე მოსმენა უკვე აპრილში გაიმართება. ორი კვირა არც ისე დიდი ვადაა და ის პრინციპულად არაფერს ცვლის, მაგრამ მეორე მხრივ — ეს ძალზე შემაშფოთებელი ფაქტია: სად არის გარანტია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მოსმენებს კიდევ არ გადაიტანს ერთი ან ორი კვირით, ხოლო შემდეგ სულაც გაყინავს ამ კანონპროექტს, — აცხადებს ელისო ჩაფიძე.

მისივე თქმით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი დაინტერესებულია, რომ კანონპროექტი მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნების დაწყებამდე იყოს მიღებული.

— აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა პირველ საზოგადოებრივ არხზე გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველომ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი უნდა მიიღოს და მასმედიის მუშაობა უნდა უზრუნველყოს, — ამბობს ელისო ჩაფიძე.

საინიციატივო ჯგუფის ყოფილი წევრი ზვიად ქორიძე თვლის, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონი ისეთი სახით უნდა იქნეს მიღებული, როგორიც ის ქრისტიან-დემოკრატებმა შეიტანეს.

— პირველ რიგში, ოფშორულ კომპანიებს ევროპაში არსად აქვთ წილის უფლება მასმედიის ელექტრონულ საშუალებებში — ტელევიზიასა და რადიოში. მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველომ თავის თავზე აიღო ვალდებულება, საკუთარ ტერიტორიაზე „შავი“ კაპიტალის შეღწევის წინააღმდეგ იბრძოლოს. თუკი მასმედიას ამ პროცესის გარეთ დავტოვებთ, ეს საქართველოს რეიტინგს ხელს არ შეუწყობს. ამ კანონის მიღებით კი, საქართველო ევროპისკენ ნაბიჯს გადადგამს, — აცხადებს ზვიად ქორიძე.

ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ თავმჯდომარის, ქეთი ხუციშვილის აზრით, არსებობს იმედი, რომ მიღებულ კანონპროექტებში მედიაექსპერტების ინიციატივები მაინც აისახება.

— დეკემბერში, უკვე პირველი ხმის მიცემისას, ექსპერტთა საინიციატივო ჯგუფის პროექტიდან ბევრი წინადადება შეიტანეს კანონპროექტის ტექსტში, რომელიც იურიდიულმა კომიტეტმა შეადგინა. ეს თავისთავად კარგია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ მეორე მოსმენა არ ყოფილა და გარდა ამისა, დეპუტატებს არ დაუწყიათ სხვა კანონპროექტების განხილვა: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და მასმედიის დაფინანსების გამჭვირვალობაზე. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ, რომ მათ უფრო ინტენსიურად იმუშაონ, — აცხადებს ქეთი ხუციშვილი.

## რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება იზრდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები 15 მილიონი ლარით იზრდება. ამას 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც მთავრობამ პარლამენტს გუშინ წარუდგინა.

ხსენებული თანხიდან აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობისათვის დამატებით 8 მილიონი დაიხარჯება. 7 მილიონი კი მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დასაფინანსებლად მუნიციპალური განვითარების ფონდს დამატებით გამოეყოფა.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, 48 მილიონი ლარით იზრდება რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდი. შესაბამისი თანხა როგორც მიმდინარე კაპიტალურ, ისე ახალ პროექტებს მოხმარდება. ახალ პროექტებს შორისაა ასპინძასა და გორის რაიონის სოფელ ნიქოზში სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, მუნიციპალური გზების, წყალმომარაგების სისტემების მოწყობა და ა.შ.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტის განხილვას პარლამენტი 30 მარტიდან შეუდგება.

*მედიანიუსი*

## სამგლოვიარო განცხადებები

ვუთანაგრძნობთ ჩვენს საყვარელ, სათნო, ჰუმანურ რძალს ნანი ბერაია-ხარჩილავას დეიდის, ქალბატონი

**ეთერ გადელია-ლომაძის**

გარდაცვალების გამო.

*ნათესავები კუსუნა, გოჩა მზარელუები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კახის ქართული კულტურის ცენტრის აღდგენას მოითხოვენ

გერა მამულაშვილი

ინგილოები კახის ქართული კულტურის ცენტრის აღდგენას მოითხოვენ. აღნიშნული თხოვნით მათ აზერბაიჯანის და საქართველოს ხელისუფლებებს უკვე არაერთხელ მიმართეს. თუმცა, დაახლოებით ორწელიწადნახევრის წინ საეჭვოდ დამწვარი შენობის აღდგენას დღემდე საშველი არ დაადგა.

კახის კულტურის ცენტრი 2009 წლის ოქტომბრის დასაწყისში დაიწვა. შენობას ცეცხლი დილის ოთხ საათზე წაეკიდა. შენობის შიგნით ყველაფერი ჩაიფერფლა და აბრის გარდა ვერაფრის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მეორე დღეს დილით ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ქართულენოვანი აბრაც ჩამოხსნეს. ქართველებმა ამ საქციელის განმარტება მოითხოვეს. — არ გვინდა ვინმემ გაიგოს, რომ აქ ქართული კულტურის ცენტრი იყო და დაიწვაო, — ასეთი იყო პასუხი.

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მაშინ პირობა დადო, რომ საქმეს სრულყოფილად გამოიძიებდა და ქართული კულტურის ცენტრაც აღადგენდა. პირობა დღემდე არ შესრულებულა და დამწვარი შენობა სრული განადგურების პირასაა. შენობის დღევანდელი რეალური მდგომარეობის შესახებ ვიდეორგოლი სოციალურ ქსელებშიც დაიდო და იგი უამრავმა ადამიანმა ნახა.

ჰერეთი კუთხეში ერთადერთი ქართული კულტურის ცენტრის აღდგენას ორივე ქვეყნის ხელისუფალთ სთხოვენ. ეს იქნება ერთგვარი ტესტი იმ გაცხადებული „სტრატეგიული მეგობრობისა“, რაც ორ მეზობელ ქვეყანას შორის არსებობს. საინგილოს ქართველებისადმი ასეთი უყურადღებობა კი ამ მეგობრობას კარგს არაფერს სძენს, უფრო პირიქით.

ამ ფონზე, საქართველოში აზერბაიჯანული მოსახლეობის საჭიროებებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ქვემო ქართლის რეგიონში კულტურული თვითმყოფადობის ყველა ნიშანი სახეზეა. დაუბრკოლებლად ფუნქციონირებენ აზერბაიჯანული სკოლები, თეატრი, კულტურის სახლები და ა.შ. სახელმწიფოსთვის მათი განვითარება პრიორიტეტს წარმოადგენს და ეს მხოლოდ მისასალმებელია.

ამ დროს საინგილოში ერთადერთი ქართული კულტურის ცენტრი იწვის და განმკითხავი არავინაა. გავრცელებული ინფორმაციით, ქართულმა მხარემ აზერბაიჯანელებს შესთავაზა, რომ კახის კულტურის ცენტრს საკუთარი სახსრებით აღადგენდა. ბაქოში უარი თქვეს და პირობა დადეს, რომ ამ საქმეს თავადვე მიხედავდნენ. სამწუხაროდ, შედეგი დღემდე არ ჩანს.

ცნობისთვის, კახის ქართული კულტურის ცენტრი თავის დროზე საქართველოს და აზერბაიჯანის კულტურის მინისტრებმა საზეიმოდ გახსნეს. ადგილობრივი პედაგოგები ჰერელ პატარებს ქართულ სიმღერებს და ცეკვებს ასწავლიდნენ. დიდი ხნის მანძილზე მათ არანაირი შრომის ანაზღაურებაც არ მიუღიათ და შიშველ ენთუზიაზმზე მუშაობდნენ.

მაშინ, ცენტრის გახსნისას ითქვა, რომ ამ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას ორ ქვეყანას შორის სამაგალითო მეგობრობის ხიდის როლი უნდა შეესრულებინა. ეს ხიდი უკვე ორი წელია დამწვარია და მის აღდგენაზე დღემდე არავინ ფიქრობს.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 30 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფ. "კოლიზეუმი, რომის სიკვდილის არენა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** **წყალბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველო-საბერძნეთი **22.30, 02.20** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** მხ.ფ. **"რადიო"** (ე. ჰარისი) **01.00** მოამბე **01.20** ჩვენი ეზო **02.50** მხ. ფილმი **"ჩასაფრებული ვეფხვი, უჩინარი დრაკონი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფ. **"ქერა გოგონები"** **01.00** მხ. ფილმი **"ბობი ჯონსი გოლფის გენიოსი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მორჩენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **00.00** მხ. ფ. **"კონგო"** (18) (ლ. ლინი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"ლოცვას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლოცვას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.30** ღამის შოუ **00.30** ვის აირჩევს კახა ბენდუქიძე **01.00** მხ. ფილმი **"სიკვდილის შემდეგ"** (12) (სუბტ.) **02.55** მხ. ფილმი **"ქონდრისკაცი"** (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი **"სიცილიური კლანი"** (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"ხსოვნა და მიტევება"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მხოლოდ შენ"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ"** **13.35** კონცერტი – მ.დოიჯაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ლომა"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"თვალი პატიოსანი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფ."წმინდა მიწაზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**30 მარტი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,704 |
| ევრო | 2,4135 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7714 |
| რუსული რუბლი | 0,06 |

## ამინდის პროგნოზი 30 მარტისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 17-22, ღამით — 7-11
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-22, ღამით — 12-14,
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-1§, ღამით — -2-8





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


# კალათბურთელებმა ევროპამდე გრაფიკი ჩამოწერეს

**ქართველი კალათბურთელები ევროპამდე 12 საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ შეიმუშავა და დაადგინა საქართველოს ნაკრების 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისათვის მოსამზადებელი გეგმა, რომლის განმავლობაშიც იგორ კოკოშკოვის მიერ დარიგებული გუნდი ევროპამდე თორმეტ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.**



**24 ივლისი-4 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)
**30-31 ივლისი:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩები — ავსტრია-საქართველო
**5-7 აგვისტო:** საერთაშორისო ტურნირი ტალინში (ესტონეთი). მონაწილეობენ: საქართველო, ესტონეთი, შვედეთი, ნცაა-ს კლუბი
**8-11 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)
**12-14 აგვისტო:** საერთაშორისო ტურნირი ალმერეში (ჰოლანდია). მონაწილეობენ: საქართველო, ჰოლანდია, ისრაელი, ნცაა-ს კლუბი
**15-20 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება თბილისში
**16 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი — საქართველო-ისრაელი, თბილისის სპორტის სასახლე
**22 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი — ლატვია-საქართველო, რიგა (ლატვია)
**24 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი — ლატვია-საქართველო, შაულიაი (ლიტვა)
**27 აგვისტო:** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი — ლიტვა-საქართველო, ვილნიუსი (ლიტვა)
**28-30 აგვისტო:** საწვრთნელი შეკრება კლაიპედაში (ლიტვა)

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ჯგუფის ხუთივე მატჩს სწორედ კლაიპედაში ჩაატარებს. ქართველები **31 აგვისტოს** ბელგიას ეთამაშებიან, **1 სექტემბერს** — რუსეთს, **3-ში** — სლოვენიას, **4-ში** — უკრაინას, ხოლო **5-ში** — ბულგარეთს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ასტროპროგნოზი 30 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**სიყვარულის დღეა**

**ვერძი** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **კურო** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** — წარმატებული დღეა, ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი გამოხატეთ. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ყველაფერი კარგად იქნება. **თხის რქა** — ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, არ გარისკოთ. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, საღამოს რომანტიკული შეხვედრა გელით. **თევზები** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავი ჩამოაქვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# იუმორი



— რა ცხვირპირი ჩამოგტირის?
— ამ გაგანია გრიპების დროს ბავშვს კინაღამ საბავშვო ბაღში ზეიმი ჩავუშალე.
— რა მოხდა?
— აღმზრდელმა დამირეკა და მითხრა, მშობლები აუცილებლად ნიღბებით უნდა მოხვიდეთო.
— მერე, რა პრობლემაა, ნებისმიერ აფთიაქში იყიდება.
— ჰო, ყველანი ასეთი ჭკვიანები ხართ და ერთი მე ვარ სულელი, ნიანგის ნიღბით რომ მივედი...

***

მდივანი ქალი დაქალთან თავის შეფზე ჭორაობს.
— გუშინწინ ბრილიანტის ყელსაბამი მაჩუქა, გუშინ ქურქი, დღეს კი ცოლობა მთხოვა.
— უკვე დაიწყო ძუნწობა?

*გ. თ.*

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სუფთა, წყალგაურეველი ღვინო; 2. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 3. მოკლელულიანი შაშხანა; 4. კუთხური მიმართვა მამაკაცისადმი კახეთში; 5. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 6. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 7. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვეიცარიაში; 10. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 11. არქიტექტურულ-სკულპტურული ნაგებობა; 12. ტკბილი წვენებით შეზავებული სპირტიანი სასმელებისგან მომზადებული სასმელი; 13. მამალი ცხვარი; 16. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 18. პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი; 19. დიდი ღელვა, ქარიშხალი ზღვაზე; 21. პოპულარული ბალ-რესტორანი ძველ თბილისში; 24. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული ხე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

**თარაზულად:** 1. მსუბუქი ავტომობილების კონსტრუქტორი ამერიკელი ინჟინერი; 3. ერთბინიანი პატარა სახლი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 9. აფრიკული უკუდო მაიმუნი; 14. ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებიდან იღებენ წითელ საღებავს; 15. კოლუმბიის დედაქალაქი; 17. ეგრისის მეფე; 20. პატიოსნება, სინდისი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 23. რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 25. ფუტკრის სადგომი; 26. გადამდნარი კარაქი; 27. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 28. სამშობლოდან განშორების სევდა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




# 21 მარტიდან

# იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 1**

## განდი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი